ეროვნული თავისუფლების გზით — პერონული თავისუფლებისაკენ!
პერონული თავისუფლების გზით — ერონული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 1 (1403) | იანვარი, 1995 წელი

## «აქ არვის, დიდსა თუ პატარასა ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული»

**ოთხშაბათის** საგანგებო სესია ტელემაყურებელმა ტელევიზიით იხილა და სესიის დაწვრილებითი ანგარიშის წარმოდგენას საჭიროდ აღარ ვთვლით. თუმცა გვინდა ერთ არცთუ უმნიშვნელო გარემოებაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ბიუჯეტი, რომლის ჩაგდება მოხდა წინა სესიაზე საგანგებო სესიამ მიიღო. გამართლდა ფინანსთა მინისტრის ქადილი, რომ ამ ბიუჯეტს საგანგებო სესია მიიღებდა.

მოხდა ელემენტარული რამ. პარლამენტის ხელმძღვანელობისა და ხელისუფალთა მიერ გამოძახებულ იქნა უმრავლესობის წარმომადგენელი თითქმის ყველა დეპუტატი. კვორუმმა მთელი წლის განმავლობაში არნახულ ციფრს 195-ს მიაღწია.

ბიუჯეტი მიღებულ იქნა 122 ხმით.

უმრავლესობამ გაიტანა თავისი, ანუ გაიტანა ის, რისი გატანაც ძალიან სურდა. ისმის ლოგიკური კითხვა, თუ უმრავლესობას სრული მობილიზაციის შემთხვევაში მისთვის სასურველი ნებისმიერი საკითხის დადებითად გადაჭრა შეუძლია, რატომ არის ამდენი კანონი მიუღებელი, რატომ გაისმის მუდმივი საყვედურები იმის შესახებ, რომ ოპოზიცია ხელს უშლის პარლამენტის ნორმალურ მუშაობას?

როგორც ვხედავთ, როცა მთავრობის წევრების თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი, ანუ პიროვნებების ბედი წყდება, მობილიზაცია უმრავლესობის დეპუტატებისა სრულყოფილად ხდება, ხოლო ქვეყნისთვის სასიცოცხლო კანონების მიღებისას ამას პარლამენტი ვერ ახერხებს.

დასკვნა.

დასკვნა ერთია, „აქ არვის, დიდსა თუ პატარასა ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული". წინაღმდეგ შემთხვევაში პარლამენტს კვორუმის შეკრება და კანონების მიღება არ გაუჭირდებოდა.

ოპოზიციაზე გადაბრალება მუშაობის ჩავარდნისა კი სხვა არაფერია, თუ არა უსაფუძვლო და უსუსური თავის მართლება.

ბიუჯეტი მიღებულია, ძველი მთავრობა ფუნქციონირებას განაგრძობს, ვნახოთ რით გაამართლებენ ამ მთავრობის დატოვებას ხვალ და ზეგ, თუ ისევ არაფერი შეიცვლება ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

## მხედრიონის შეკრება

**ხუთშაბათს** 12 საათზე ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში შეიკრიბნენ საქართველოს მაშველთა კორპუსის (მხედრიონის) წევრები საქართველოს ყველა კუთხიდან. თეატრის შენობა გადაჭედილი იყო. შეკრებაზე მიწვეულები იყვნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სოც.-დემოკრატების ლიდერები.

ჩვენი გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო ამ დროისათვის და შეხვედრის დაწვრილებითი ანგარიშის წარმოდგენა არ მოხერხდა.

დარბაზში ჩანდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები ი. წერეთელი, თ. ჟორჟოლიანი.

იყვნენ შ.ს. სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. მინისტრი ვ. ნადიბაიძე. აქვე ჩანდა რამდენიმე არა ძალოვანი უწყების მინისტრი.

შეხვედრის პირველ ნახევარში სიტყვებით გამოვიდნენ ბატონები ჯ. იოსელიანი, მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე, კ. გელაშვილი, კახეთის რეგიონის მხედრიონის თავმჯდომარე.

გამომსვლელებმა ისაუბრეს მხედრიონისა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ხაზი გაუსვეს მხედრიონის როლს აფხაზეთის ბრძოლებში.

შეკრება საღამომდე გრძელდებოდა.

ოთხშაბათისათვის დაგეგმილ საპარლამენტო სხდომაზე უმრავლესობის წარმომადგენელ დეპუტატთა მობილიზაციის მიზნით, ხუმრობაგაშვებით თუ ვიტყვით, გამოცხადდა №1 მზადყოფნა, რასაც მოჰყვა კურიოზი.

მე-2 გვერდზე

«რამდენიმე შეიარაღებული პირი ჩაქვის სოფელ სახალვაშოში საავტომობილო ტრასასთან. ახლომდებარე სახლში შეიჭრა და მძევლებად აიყვანა ოჯახის წევრები. მათ შორის ასლან აბაშიძის პირადი მცველი».

მე-2 გვერდზე

## განცხადებები

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თბილისის რაიონების რეგიონალური ორგანიზაციების დამფუძნებელი კონფერენციები გაიმართება:**

**1. მთაწმინდის რაიონის რეგიონული ორგანიზაციის — 16 იანვარს, ორშაბათს.**

**2. ვაკის რაიონის რეგიონული ორგანიზაციის — 17 იანვარს, სამშაბათს.**

**3. საბურთალოს რაიონის რეგიონული ორგანიზაციის — 18 იანვარს, ოთხშაბათს.**

**კონფერენციები ჩატარდება პარტიის ოფისში. დასაწყისი 11 საათზე.**

**ყოველ პარასკევს, 14 საათზე, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ოფისში ჩატარდება შეხვედრები პარტიის წევრებთან და მხარდამჭერებთან.**

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ოფისის მისამართია:**

**ქ. თბილისი, პუშკინის ქ. 5 / 7 (თავისუფლების მოედანი) მეორე სართული.**

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აპარატი

# პანკისის ხეობაში

**1995 წლის 8 იანვარს** გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარლამენტის წევრები ბ-ნები ნოდარ ნათაძე, ფრიდონ საყვარელიძე, ირაკლი მელაშვილი, პოლიტიკური საბჭოს წევრი მერაბ ქათამაძე, იმყოფებოდნენ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობის წარმომადგენლებს და რაიონის ხელმძღვანელობას.

საუბრები შეეხო ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებს, იქიდან დაბრუნებულ ქისტი ეროვნების საქართველოს მოქალაქეთა პრობლემებს. გამოითქვა უკმაყოფილება ქართველ მესაზღვრეთა და საბაჟო სამსახურის მოხელეთა მოქმედების გამო,რომლებიც საზღვარზე გადასვლის დროს შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს მოქალაქეებს, ამცირებენ მათ ადამიანურ ღირსებებს, ეს მაშინ, როცა პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის წარმომადგენლები ქართველებთან ერთად იცავდნენ საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას აფხაზეთში.

დეპუტატმა ახმეტის რაიონიდან ც. ახმეტელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემების შესახებ წერილობით ეცნობა საქართველოს მთავრობას, მაგრამ არავითარი ზომები არ იქნა მიღებული.

გამოითქვა აზრი, რომ პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომისიას კონტროლზე აეყვანა ამ საკითხების გადაჭრა.

# დისკუსია

**გაერთიანებული** რესპუბლიკური პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა დისკუსია თემაზე: „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა“. საკუთარი კონცეფციები ამ საკითხის თაობაზე წარმოადგინეს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრებმა ირაკლი ოქრუაშვილმა და ლევან ალაფიშვილმა. დისკუსიას უძღვებოდა პოლიტიკური საბჭოს წევრი ირაკლი მელაშვილი.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ დარბაზის ხელმძღვანელი ნოდარ ნათაძე, პოლიტსაბჭოს წევრები: დავით ბერძენიშვილი, გოჩა გავაშელი, თამაზ დიასამიძე, გაიოზ როგავა, ბესარიონ ფაჩუაშვილი, მერაბ ქათამაძე, ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ასლანიკაშვილი, პარლამენტის წევრი ანდრო ლოლაძე, იურიდიული კომისიის წევრი კობა დავითაშვილი.

გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის
პრესსამსახური

# მეუმრავლესთა მობილიზაციის, გინესის რეკორდისა და სხვა საინტერესო ამბების შესახებ!

**ოთხშაბათისათვის** დაგეგმილ საპარლამენტო სხდომაზე უმრავლესობის წარმომადგენელ დეპუტატთა მობილიზაციის მიზნით, ხუმრობაგაშვებით თუ ვიტყვით, გამოცხადდა №1 მზადყოფნა, ვინაიდან იყო საშიშროება იმისა, რომ უმცირესობა კვლავ მოახერხებდა უვარგისი ბიუჯეტის ჩაგდებას, რასაც მთავრობის გადადგომა და ასეთი „საშინელი“ ამბები მოჰყვება.

ამ ფონზე ხელისუფლებისაგან უმრავლესობის დეპუტატთა მოზიდვის მიზნით ყველანაირ ღონისძიებას გამაროლება ეძებნება...

დაიგეგმა კონკრეტული აქცია აჭარიდან უმრავლესობის წევრ დეპუტატების სასწრაფოდ ჩამოსაყვანადაც. კერძოდ, ორშაბათს თბილისიბათუმის საგანგებო რეისი დაინიშნა და გაიგზავნა აჭარაში თვითმფრინავი.

მართალია, სახელმწიფომ ამ საგანგებო რეისის დანიშვნით არცთუ მცირე თანხა გაიღო (ბათუმში თვითმფრინავის გაშვება და უკან დაბრუნება, მითუმეტეს, როცა მას ბორტზე 2 მგზავრი ჰყავს, მოგეხსენებათ თანხებთან არის დაკავშირებული) მაგრამ როგორც იტყვიან მიზანი ამართლებს საშუალებას.

მაგრამ დახეთ ბედის ირონიას. თვითმფრინავს ბათუმში მხოლოდ ორი დეპუტატი დახვდა, თამაზ დიასამიძე და ბორის კაკუბავა.

ისინი მშვიდად ჩასხდნენ ლაინერში და გამოემგზავრნენ სესიაზე დასასწრებად. ცხადია, ბიუჯეტის ჩასაგდებად.

ამ შემთხვევამ შეიძლება სახელი გაუთქვას ჩვენს ავიაციას. თვითმფრინავის ორი მგზავრით გაფრენას გინესის წიგნის მესვეურები ალბათ არ დატოვებენ ყურადღების გარეშე.

# ტერორი და კონტრტერორი ჰეპი ენდით

**ახალი წლის** დღეები აჭარაში მორიგი დაძაბულობით აღინიშნა. ამჯერად მოსახლეობა „გარედან აგრესიის“ მზადებით არ შეუშინებიათ. გარეგნულად მისი გამომწვევი მიზეზი იყო ტერორისტული აქტი, ასე რომ შემოეჩვია ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას. 5 იანვარს რამდენიმე შეიარაღებული პირი ჩაქვის სოფელ სახალვაშოში საავტომობილო ტრასასთან ახლო მდებარე სახლში შეიჭრა და მძევლებად აიყვანა ოჯახის წევრები, მათ შორის ა. აბაშიძის პირადი მცველი. ამ უკანასკნელის რაციით ისინი პირდაპირ დაუკავშირდნენ ა. აბაშიძეს და მოითხოვეს ძმები ასანიძეების ციხიდან გათავისუფლება, ერთ-ერთი ძმის გატაცებული შვილის დაბრუნება და ა. აბაშიძის გადადგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში სახლს აფეთქებით ემუქრებოდნენ, რომელიც წინასწარ დანაღმული ჰქონდათ.

ხელისუფლებას ისღა დარჩენოდა მიეღო გარკვეული უსაფრთხოების ზომები, კერძოდ გადაკეტა საერთაშორისო საავტომობილო ტრასა, რამაც მანქანებით გადაკეტა ქობულეთისა და სარფის მისადგომები.

ტერორისტებთან მოლაპარაკებისას, პირისპირ შეხვედრისას დადგინდა, რომ მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნასამართლევი და ძებნილი, ამ ბოლო დროს რუსეთში მცხოვრები დავით ასანიძე იყო. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის,რომ საპასუხოდ დაეპატიმრებინათ ანუ მძევლებად აეყვანათ ასანიძეების ორივე სქესის ათეულობით მოზრდილი წარმომადგენელი. ამის შემდეგ დაძაბულობა, მოლაპარაკება კიდევ ორი დღე გაგრძელდა და დასრულდა მძევლების მშვიდობიანი გამოხსნით, თვით დავით ასანიძის ა. აბაშიძესთან შეხვედრით.

შემთხვევა ბედნიერად დასრულდა, რიგი უცნაურობების თანხლებით, რაც ალბათ შემდგომ გაირკვევა.

ფაქტი კი ერთია, რომ ერთ დროს ა. აბაშიძის „მარჯვენა და მარცხენა ხელის“, უზენაესი საბჭოს ორი დეპუტატის, ბათუმისა და ხელვაჩაურის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელების ძმები ასანიძეების უპრეცედენტო და გაჭიანურებული სასამართლო პროცესი რეგიონში პოტენციური დესტაბილიზაციის ერთ-ერთ წყაროდ ითვლება და ვინ იცის კიდევ როდის იფეთქებს.

# გენერლის ხანმოკლე ოდისეა

**ბასული** წლის ბოლოს მოსკოვში გამოიძახეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ბათუმის გარნიზონის უფროსი. საქმე ეხებოდა ამ გარნიზონის არსენალებიდან სისტემატურად დიდი რაოდენობის იარაღის გაუიდვის ფაქტებს. ამასთან სხდომაზე გარნიზონის შეფი ნასვამი გამოცხადებულა. ყოველივე ამის გამო უდისციპლინო გენერალი თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადაუყენეს და ჰოსპიტალში გაამწესეს. ერთი დღის შემდეგ გენერალი ბათუმიდან გაგზავნილი თვითმფრინავითა და მცველებით გარშემორტყმული ბათუმში დაბრუნდა, სადაც თავის თანამდებობაზე ბრძანებით დანიშნული მისი შტაბის უფროსი დახვდა. შეხლა-შემოხლის შემდეგ გენერალმა თავისი სავარძელი დაიბრუნა, ხოლო ამ სავარძლის პრეტენდენტი დაპატიმრა.

# ომის მსხვერპლის რიცხვი საშეხედრო საიდუმლოებაა

**„იზვესტიის“** კორესპონდენტი ვალერი იაკოვი წერს: „მთელი ნახევარი დღის განმავლობაში, მიუხედავად მრავალრიცხოვანი სატელეფონო საუბრებისა, მაინც ვერ დავადგინე ჩემთვის საჭირო ციფრები. მაგრამ ეს სულაც არ გამკვირვებია. რა უნდა თქვას უბრალო ჟურნალისტმა, როცა პრეზიდენტთან არსებული რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებული სერგეი კოვალიოვი ვერ ახერხებს საინფორმაციო ბლოკადის გარღვევას. მისი მაღალი უფლებამოსილების მიუხედავად, ძალისმიერი სტრუქტურები ჯიუტად არ უშვებდნენ მას საომარ ზონასთან და მისი თვითმფრინავიც კი ჰაერშივე უკან გააბრუნეს. ახლა, როცა კოვალიოვმა დეპუტატების ჯგუფთან ერთად როგორც იქნა გროზნოში შეაღწია და იქიდან ცდილობს ქალაქგარეთ აგარაკზე დასასვენებლად გასულ პრეზიდენტს როგორმე დაუკავშირდეს, მას არავინ პასუხობს. შედეგად სერგეი ადამის ძე იძულებულია პრეზიდენტს მოსწეროს ღია წერილი, რომელშიც ნათქვამია: „კონსტიტუციური წყობის აღდგენა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მასიური ძალადობის გზით ნიშნავს მთელ რუსეთში კონსტიტუციური წყობისადმი მუქარას, რომელიც ახლახანს დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას. განსაკუთრებით აუცილებელია აღინიშნოს დეზინფორმაციისა და თვალის დახუჭვის ტენდენცია, რომელიც იგრძნობა ოფიციალურ ცნობებში კონფლიქტის დაწყების დღიდან. ყველაფრიდან ჩანს, რომ ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოგეწოდებათ ასევე არასწორი და ცრუა.“

პრეზიდენტმა არ უპასუხა. ან არ გაიგო ან არ მოახსენეს. მაგრამ ეს შესაძლოა გასაგები იყოს — ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. უფრო საგანგაშოა სხვა რამე, რომ კოვალიოვის ხმა არ ესმის ან არ სურს გაიგოს ჩვენმა ხალხმა და ხელისუფლებაც თავისუფლად აგრძელებს სიცრუეს“.

მართლაც რატომ მალავს ომის მსხვერპლის რაოდენობას ასე გულდაგულ რუსეთის ხელისუფლება? ხომ არ მიაღწია მან ისეთ რაოდენობას, რაც რუს ერს გამოაფხიზლებს და რუსეთის ხელისუფლების აგრესიული იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ განაწყობს?

# დეკემბერ-იანვრის მოვლენებით დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართვა

## საქართველოს რესპუბლიკის მეთაურს, საქართველოს პარლამენტს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას

ყველასათვის კარგადაა ცნობილი და განცდილი ის უბედურება, რომელიც ბოლო წლებში დაატყდა თავს საქართველოს. საყოველთაო გაჭირვებასა და სილატაკეს, რაზეც ამდენი იწერება და ითქმის, ემატება 1991—92 წწ. დეკემბერ-იანვარში თბილისში შეიარაღებული შეტაკების დროს სახლ-კარ და წარსულგანადგურებული სამასი ოჯახის გულისტკივილი.

აგერ უკვე მეოთხე ახალ წელს შევხვდით სხვის კარზე სამადლოდ შეფარებულნი. ამ უბედურების სრულად გააზრება მხოლოდ ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან დევნილთ თუ შეუძლიათ, რადგან საკუთარი ჭერის მქონე ადამიანმა ძნელია ბოლომდე გაისიგრძეგანოს ის სულიერი ტრავმა, ის დამცირება, რასაც საკუთრივ სამშობლოში ლტოლვილებად დარჩენილი ადამიანები განვიცდით.

ვარამი მით უფრო გვიძლიერდება, როდესაც ვიცით, რომ ცხინვალსა თუ აფხაზეთიდან დევნილ ჩვენს თანამემამულეთაგან განსხვავებით, რომლებიც მტრად მოკიდებული ხალხის უგუნურებამ აყარა საკუთარი მიწა-წყლიდან, ჩვენ ჩვენივე ხალხის ურთიერთდაპირისპირებამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე.

„თბილისის ომის“ პოლიტიკური შეფასება ისტორიის საქმეა. ჩვენ, მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი გვესაქმება, რა გამგე ვართ მაგისა. მოვითხოვთ მხოლოდ იმას, რისი უფლებაც ყველა სახელმწიფოში, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში აქვს ყველა რჯულისა და ფერის ადამიანს. შეუძლებელია იმ სენტიმენტალური ღირებულების ანაზღაურება, რომელიც საკუთარ წარსულთან, საკუთარ კერასთან გვაკავშირებდა, მაგრამ მთავრობისა და ხელისუფლების ვალია, (ვიმეორებთ, ხელისუფლებისა და არა ქალაქის მერიისა თუ ცალკეული ქველმოქმედისა) აგვინაზღაუროს ის, რისი ანაზღაურებაც შესაძლებელია.

„თბილისის ომის“ დამთავრებისთანავე მთავრობა და ხელისუფლება იმდენ სიკეთეს შეგვპირდა, რომ საზოგადოებაში მცდარი აზრიც კი გაჩნდა, თითქოს სამასივე ოჯახმა უზარმაზარი თანხები, უფასოდ მანქანები და საუკეთესო ბინები მიიღო. დაზარალებულთა სამსახურებში თანამშრომელთა მიერ დასახმარებლად შეგროვილი ფული უკანვე დააბრუნეს. არც შურიანი რეპლიკები დაგვკლებია — თქვენ რა გიჭირთ, დასახმარებლები ჩვენა ვართო. მაგრამ დრო გადიოდა და დადგენილებები დადგენილებებადვე რჩებოდა. „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო“ და ვინ არ წამოყო თავი: ზოგმა ტერიტორიის მითვისება განიზრახა, ზოგმა ავეჯის, ზოგმა შემოწირული თანხებისა, იშვიათად თუ გვახსენებდა ვინმე პრესასა თუ ტელევიზიაში, ისიც გაკვრით და ზერელედ.

შემდეგ დაიწყო აფხაზეთის ომი და რადგან კარგად გვესმოდა, რომ სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნება, სამოქალაქო ომის შეწყვეტა უპირველესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ყველა ქართველისათვის, ვცდილობდით პირადი პრობლემებით ხელისუფლება აღარ შეგვწუხებინა. კარგად გვესმის, რომ დღესაც გასაჭირია, არც დღეს ულხინს საქართველოს, მაგრამ ყველაფერს საერთო გაჭირვებას ვერ დავაბრალებთ. დღემდე დანგრეულია რუსთაველის პროსპექტი და ჩვენი გულის გასახეთქად ნანგრევებიც იქვე ყრია, იმ ნანგრევების გვერდით კი საგულდაგულოდ რემონტდება პარლამენტის ახალი, უზარმაზარი შენობა, თვალსა და ხელს შუა ქრება უცხოეთიდან მიღებული მილიონობით კრედიტი, სულ ახლახანს კი სკოლების, საბავშვო ბაღების გათბობისა და სველი წერტილების სარემონტოდ საქართველოს სამ ქალაქს 18 მილიონი დოლარი გადმოეგზავნა მიზნობრივი კრედიტის სახით. მიმდინარე წლის საბიუჯეტო გეგმაში ბოლოსდაბოლოს 500 მილიარდი კუპონი შეიტანეს რუსთაველზე დამწვარი სახლების აღსადგენად. უდავოდ მისასალმებელია ეს ნაბიჯი, მაგრამ რაოდენ უბადრუკად გამოიყურება იგი იმ 18 მილიონ დოლართან, და, სხვა ხარჯებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იმ ერთ ტრილიონ კუპონთან შედარებით, რომელიც პარლამენტის შენობის რემონტს უნდა მოხმარდეს.

ძვირფასო პარლამენტარებო, ნუთუ პარლამენტის ახალი შენობა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ვიდრე ამდენი ადამიანის მოლოდინი, რომელთაც თქვენივე გეგმით 1993 წელი ახალ ბინებში უნდა ეზეიმათ. თქვენ ხომ ხალხის, ასევე ჩვენს სამსახურში ჩამდგარი ადამიანების ბრძანდებით. ნუთუ ამ ნდობას გაფრთხილება სულ არ სჭირდება? ნუთუ ასე ძნელია ეს დიდი მისია ამჟამინდელ შენობაში განაგრძოთ. იცით თუ არა, რომ დამწვარი ქონების ზარალმა ბინების ფასის გარეშე 1992 წლის დასაწყისის მანეთის კურსით სამას მილიონს გადააჭარბა. ივი პროკურატურის მიერ ოფიციალურადაა დაფიქსირებული და დეკლარაციების სახით არსებობს. იცით თუ არა, რომ ალმოდებულ სახლებში სრულიად უმწეო, უდანაშაულო ადამიანები ჩაიწვნენ. წუთით მაინც წარმოიდგინეთ მათი უსახლკაროდ დარჩენილი ჭირისუფლების თვალები, როდესაც პარლამენტის შენობის წინ რუდუნებით დარგულ ბუჩქებსა და თავად შენობაში უზარმაზარ ნოხებსა და ძვირფასად მოპირკეთებულ იატაკს დაინახავენ. ნუთუ ასე ძნელია იმ ადამიანების დახმარება, რომელთა პატრონობა თქვენი უპირველესი ვალია. კარგად მოგეხსენებათ, ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველ ქვეყნებში არამც თუ კერძო საკუთრებას, მოქალაქეს მორალურ ზარალსაც კი უნაზღაურებენ.

ამ სამი წლის მანძილზე არ გვიკადრია არც ქუჩის აქცია, არც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონებისათვის მიგვმართავს, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, ის 500 მილიარდი კუპონი ბიუჯეტში რომც დამტკიცდეს, ლოდინი წლობით დაგვჭირდება. მანამდე რა ვქნათ? სად ვიცხოვროთ, რითი ვიარსებოთ? ნუ გვექცევით ბოროტი დედინაცვალივით, ნუ გვაიძულებთ დაპირისპირებას. მოვითხოვთ, უმოკლეს ვადაში აგვიშენოთ ბინები და აგვინაზღაუროთ მატერიალური ზარალი. გახსოვდეთ, მხოლოდ იმ ხელისუფლების დაცვა ღირს სამასი ტრილიონი, რომელიც თავისი ხალხისთვის ზრუნავს.

მოგმართავთ ყველას, ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტულ, სახელოვან შვილებს, შეგვაწიეთ სიტყვა, გვაგრძნობინეთ მორალური მხარდაჭერა!

**წაკითხულ იქნა დაზარალებულ თბილისელთა კრებაზე. წერილს თან ახლავს 120-მდე ხელმოწერა**

9.I.1995

ПОЛЕМИКА

# არა მხოლოდ გაუგებრობა!

**მიხეილ მახარაძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი**

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1995 წლის პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალ „რელიგიის“ მთავარი რედაქტორის ვიქტორ რცხილაძის პოლემიკური წერილი — „გაუგებრობა თუ...?“, რაც ჩემს კრიტიკულ წერილზე „... მაინც ბრუნავს!“ (გაზ. „საქართველო“, №27, დეკემბერი, 1994) პასუხის მცდელობაა. მკითხველს შევახსენებ, რომ ხსენებულ წერილში სათანადო დასაბუთების საფუძველზე არ გავიზიარე ნოდარ ნათაძის ერთ წიგნში გამოთქმული აზრის ვ. რცხილაძისეული შეფასება.

წინასწარ შევნიშნავთ,რომ ის ვინც იტალიური აღორძინების დიდ მოაზროვნესა და ჰუმანისტს ჯორდანო ბრუნოს მოიხსენიებს, როგორც „დეზერტირ ბერს“ (ვ. რცხილაძე), მასთან კამათს არა მგონია საბოლოოდ რაიმე აზრი ჰქონდეს. მაგრამ ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისა და მკითხველის შეცდომაში შეყვანისაგან თავიდან ასაცილებლად, კამათის გაგრძელებას ვამჯობინებ.

ბ-ნი ვ. რცხილაძის შენიშვნით მე ჩემს გვარს წერილის გამაგრების მიზნით ვურთავ სამეცნიერო ხარისხს. აქ მე ნამდვილად არაფერ შუაში ვარ და ეს გაზეთის რედაქციიდან მოდის. სამაგიეროდ არა მგონია ასევე გაზეთის რედაქციიდან მოდიოდეს ვ. რცხილაძის გვარზე ჟურნალ „რელიგიის“ მთავარი რედაქტორის წინ დართული — „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის პრემიის ლაურეატი“. ოპონენტის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მან ეს საპატიო წოდება თავის გვარს პასუხის გასამაგრებლად დაურთო. მაგრამ ვ. რცხილაძეს რატომღაც „გამორჩენია“ თავისი კიდევ ერთი რეგალია — დეპარტამენტის დირექტორობა. თუმცა ამის კომპენსაციას ახდენს მთელს პასუხში: დირექტორის ჰონორით მმოძღვრავს, ჭკუას მასწავლის, ლექციებს მიკითხავს, „შემახსენებს“, „მაუწყებს“, „მაწბილებს“ და ა.შ. მოკლედ ოპონენტი არ ერიდება დამამცირებელ ეპითეტებს ჩემი მისამართით.

ჩვენი ოპონენტი თავის წერილში თავს წარმოგვიდგენს თანამედროვე ღვთისმეტყველებაში ღრმად ჩახედულად და დიდად ერუდირებულად. იმედია მკითხველს ეყოფა მოთმინება და ბოლომდე ჩაიკითხავს ჩემს წერილს და თავად გახდება მოწმე თუ როგორ საპნის ბუშტივით გაგვიქრება ღვთისმეტყველების მოყვარული სპეციალისტის პოზიცია.

ოპონენტი წერილის დასაწყისშივე მაბრალებს მანიპულაციებს მის მოსაზრებებთან დაკავშირებით და თითქოს ამის შემდგომ ადვილად „ვუსწორდები“ მას. მისი აღნიშვნით, მე მკითხველს დავუმალე მის წერილში ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მკვეთრად გამოჯნული სუპრანატურალისტური და ათეისტური მიდგომა. მართალია, ეს ციტატა მე არ დამიმოწმებია, მაგრამ ვინც საქმის ვითარებას იცნობს, დამეთანხმება, რომ თავის დროზე ვ. რცხილაძეს ეს წიაღსვლები დასჭირდა შემდეგი დასკვნისათვის: **სუპრანატურალისტური პოზიციიდან, ჩვეულებრივი მორწმუნის თვალთახედვით საკითხის დაყენება ქრისტეს განათლებულობის შესახებ. უკვე ნონსენსია.** ოპონენტი თავიდან ბოლომდე იზიარებს ამ აზრს და ამის საფუძველზე გამოაქვს საკუთარი განაჩენი ნ. ნათაძის აზრის შესახებ. რადგანაც ვ. რცხილაძე იზიარებს სუპრანატურალისტურ აზრს, ჩემს წერილში სიმარტივისა და სიცხადის მიზნით უშუალოდ მის პოზიციაზე მითითებით არავითარი ცოდვა არ ჩამიდენია. მის შენიშვნას (უფრო წუწუნს) მაშინ ექნებოდა გამართლება, თუკი აზრი, რომელიც მე „დავუმალე“ მკითხველს და მისი პოზიცია ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნებოდა.

სინამდვილეში თვითონ ვ. რცხილაძე მიმართავს აშკარა მანიპულაციას ჩემი მოსაზრების მისამართით. მისი აღნიშვნით, მე მკითხველს „დავუმალე“ მისი აზრი და ასე „გავუსწორდი“ მას შემდეგი შენიშვნით: „ვერ გავიზიარებთ ამ შეფასებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქ ერთმანეთში ორი რამაა აღრეული: ღმერთი დანახული რელიგიის პოზიციიდან, მორწმუნის თვალთახედვით და ღმერთის შეფასება მეცნიერის პოზიციიდან“. მაგრამ მე ეს შენიშვნა გავაკეთე არა მაშინ, როცა მკითხველს „დავუმალე“ ვ. რცხილაძის აზრი, არამედ მის მიერ კირკეგორზე დამყარებით გაკეთებულ შემაჯამებელ დასკვნა-განაჩენზე: „თუკი ღვთის შეურაცხყოფად ითვლება მისი არსებობის დამტკიცება, მაშინ რამდენად უფრო შეურაცხმყოფელია და მკრეხელურია აზრი მისი ღვთაებრიობის უარყოფისა?! ამაზე პასუხი მკითხველისათვის მიგვინდია“. როგორც ამას ვ. რცხილაძე აღნიშნავს — სწორედ კირკეგორი მიიჩნევდა ღმერთის შეურაცხყოფად ღმერთის არსებობის დასაბუთების მცდელობას. ასე რომ ვ. რცხილაძემ სრულიად შეგნებულად, ჩემი ერთი მიმართებით ნათქვამი გაავრცელა სხვა მიმართებით და ამით შეცდომაში შეიყვანა მკითხველი.

საკითხის ერთობ პრინციპულობის გამო მთლიანად დავიმოწმებ ერთ ადგილს ჩემი წერილიდან, შემდეგ ვნახავთ თუ როგორ უმოწყალოდ ჩეხავს მას ოპონენტი და სახეზე გვექნება მისი მორიგი მანიპულაცია ჩემი აზრების მისამართით.

მე ვწერდი: „თუკი მაცხო-

გაგრძელება მე-6 გვ.

ჩეჩნეთი

# კონფედერაციალური მოხსენება

ს. კურგინიანი, ვ.სოლოხინი, მ.პოდკოპაევი. კორპორაცია „ექსპერიმენტალური შემოქმედებითი ცენტრი“

## ჩეჩნური სათაგური

ჩეჩნეთის მოვლენები ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, დეზინტეგრაციის მორიგი სპირალის გაშლას. პოლიტიკური ანბანით ლაპარაკია მთელი პოლიტიკური ძალების დიდმასშტაბიან პოლიტიკურ სათაგურში შეტყუებაზე. ამგვარი შეტყუების პროცესში დაგეგმილია მთავარი ამოცანის გადაჭრა — დამხობილ იქნას ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა და უპირველეს ყოვლისა იმ მასშტაბის სახელმწიფოებრიობა, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოტენციალის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

## ჩეჩნეთის საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობანი

ჩეჩენი ხალხი საკმარისად კონსოლიდირებულია, მაგრამ კონსოლიდაციის ფორმა შეიცავს ფეოდალურ, ტომობრივ და კლანურ ელემენტებს. ამგვარი სტრუქტურა დამახასიათებელია ყველა შერეული საზოგადოებისათვის. ჩეჩნეთში კი [illegible]ორედ ადგილი აქვს კაპიტალის პირ[illegible]ლადი დაგროვების სტადიაში მყოფ ტრადიციულ საზოგადოებას. ქონების დაგროვების კრიმინალური ხასიათი ქმნის ტრადიციულის დანაშაულებრივთან რთულ სიმბიოზს, რომელიც ხანდახან გაცნობიერებულიც არ არის. ასეთი რამ დამახასიათებელია ბევრი სამხრეთული საზოგადოებისათვის, სადაც დაცულია ფეოდალური და წინაფეოდალური ტრადიციები და იძენს ბურჟუაზიულ სულს ძლიერ სპეციფიკური ფორმით.

ჩეჩნეთის საზოგადოება — ეს უპირველესად არის გვაროვნული თემების კონგლომერატი, რომელთა შინაგან ურთიერთობებზეც დამოკიდებულია მშვიდობის ბედი ჩეჩნეთში. ჩეჩენი ხალხი იყოფა მიახლოებით 165-170 თემად.

1990—1991 წლებში თემებში იქმნებოდა შეიარაღებული ფორმირებები, ასევე სალარო, ანუ ფაქტიურად ჩრდილოვანი ბანკი. ბუნებრივია, რომ ამგვარ „ნაციონალურ აღორძინებას“ არ შეეძლო ჩეჩნეთი არ მიეყვანა განსაკუთრებული პირობების შექმნამდე, სადაც პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ღია ჰიდილი არ შეიძლებოდა არ მისულიყო ძალისმიერ მეთოდებამდე.

ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ჩეჩნეთის საზოგადოების გვაროვნულ-თემურმა სტრუქტურამ შექმნა ნახევრად ჩრდილოვანი კლანების წარმოშობისათვის ხელშემწყობი პირობები ყველანაირი საქმოსნების მიერ გვარების ხელმძღვანელობაში სალიდერო პოზიციების ხელში ჩაგდების გზით, გარდაქმნისა და „ნაციონალური აღორძინების“ პერიოდში ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით განვითარდა. ხოლო 1991 წელს [illegible]ომპარტიის შესუსტებამ და დაშლამ შექმნა პირობები ხელისუფლებისათვის [illegible]ია ბრძ[illegible]ის დაწყებისა ამ კლანების ავტორ[illegible]ებსა და დოკუ ზავგაევს შორის, [illegible]ელიც ბარის თემთა წარმოძადგენელ[illegible] იყო. ამ ბრძოლაში ჯ. დუდაევი თემთა ავტორიტეტების მიერ წამოყენებულ იქნა სავიტრინო კომპრომისული ლიდერის როლში.

მაგრამ ამ ავტორიტეტების ღია მომხმარებლურმა ქმედებებმა და დუდაევის უარმა დარჩენილიყო სავიტრინო ფიგურად შეტაკებამდე მიიყვანა მხარეები. ყოველივე ამან გამოიწვია 1993 წლის აპრილ-მაისის მოვლენები, რის შემდეგაც თემთა ავტორიტეტების უმრავლესობა დუდაევის ოპოზიციაში აღმოჩნდა.

ხელისუფლებამ შეძლო ტრადიციული გარემოდან ჩეჩენთა დიდი ნაწილის გამოყვანა და ფაქტიურად ჩეჩენთა ახალი ნაციის შექმნის დაწყება.

## ჩეჩნეთი და რუსეთის ფედერაცია «მე შენ გაგაჩინე»

**1991 წლის** 19—21 აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როცა რსფსრ-ს უმაღლესმა საბჭომ და პრეზიდენტმა ელცინმა ხელში ჩაიგდო ხელისუფლება მოსკოვში, გროზნოში დაიწყო მიტინგი დოკუ ზავგაევის გადადგომისა და ჩეჩენო-ინგუშეთის უმაღლესი საბჭოს დაშლის მოთხოვნით. მიტინგი მიმდინარეობდა დარჩენილი „გეკაჩეპისტის“ მოსპობის ლოზუნგის ქვეშ. ეს მოსკოველი დემოკრატების გულს იგებდა. პრესა წერდა დუდაევზე, როგორც დემოკრატიის მუშაკეტერზე, ხოლო რადიკალები ელცინის წრიდან არ მალავდნენ თავიანთ გეგმებს მოეწყოთ შეტევის ორგანიზება საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლების სტრუქტურებზე და ჩეჩენ-ინგუშეთი ექციათ მიბაძვისათვის პოლიტიკურ მაგალითად.

სექტემბერში გროზნოში ჩავიდა რუსი პოლიტიკოსების ჯგუფი. მასში შედიოდა გ.ბურბულისი, მ.პოლტორანინი, შელოკ-კოვედიავი და ი.ალიროვი (ჩეჩენი). მიუხედავად არიროვის განსაკუთრებული შეხედულებისა (ჩეჩენისთვის მაინც მოესმინა), რომელიც ამტკიცებდა, რომ დუდაევს არ გააჩნია ის დიდი მხარდაჭერა, რასაც ის ავრცელებსო, კომისია მაინც დუდაევის მხარეს დადგა, ეტყობა ჩათვალა, რომ ვაინახური დემოკრატია და დემოკრატია ერთი და იგივეა. დალოცა რა მომხდარი გადატრიალება, მიუხედავად აშკარად ძალადობის გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა (ერთი დეპუტატი მოკლულიც იყო), კომისიამ წამოაყენა მხოლოდ ერთი პირობა-ლეგიტიმურობა.

მოსკოვიდან ჩამოვიდა იურისტების ჯგუფი შეცვლილი ხელისუფლების ლეგიტიმირებისათვის. 1991 წლის 15 სექტემბერს ვაინახური დემოკრატიის ზეიმის მიუხედავად ჯერ არგაქცეული ჩეჩენო-ინგუშეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები შეიკრიბნენ და მათ შესთავაზეს თვითდაშლა, რაც გააკეთეს კიდეც: ერთდროულად შეიქმნა დროებითი უმაღლესი საბჭო, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა 1991 წლის 18 ნოემბერს ჩეჩნეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მოგვიანებით გროზნოში მოსკოვიდან ჩამოსულმა რ. ხაზბულატოვმა მხარი დაუჭირა კომისიის დასკვნებს. დუდაევთან პირად საუბარში ხაზბულატოვმა მისგან აიღო სიტყვა, რომ ის მოუხსნიდა სამხედრო ბლოკადას უმაღლესი საბჭოს შენობას, ტელევიზიას და მთავრობას. აქედან იწყება დუდაევის მიერ მისთვის გამოუსადეგარი ხელისუფლების ორგანოების დევნა. გაავრცელა რა ცნობა, რომ მას მხარს უჭერდნენ რუსეთი და ხაზბულატოვი, 8 ოქტომბერს გაყარა დროებითი უზენაესი საბჭო და 27 ოქტომბერს დანიშნა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. შეგახსენებთ, რომ დროებითი უზენაესი საბჭო წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას ჩეჩნეთში. მაშინ ეს იყო აბსოლუტურად დემოკრატიული ხელისუფლება და არავითარი იდეური წინააღმდეგობა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან არ შეეძლო ჰქონოდა. უფრო მეტიც, რუსეთის პრეზიდენტი და დროებითი უზენაესი

საბჭო შეთანხმებულად მოქმედებენ. [illegible]აშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ დუდაევი უკვე მაშინ იწყებს ჩეჩნეთის სუვერენიტეტის დე-ფაქტო დამყარებას, უფრო ზუსტად, ქმნის ჩეჩნეთში პირადი ძალაუფლების რეჟიმს.

აუცილებლობამ მოითხოვა კრემლის ორი დაჯგუფების ფორმირება, რომლებიც სხვადასხვანაირად უყურებდნენ კონფლიქტის გადაწყვეტის პრობლემას. ესენი იყვნენ „ომის პარტია“, პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის მოთხოვნით („გაიჯრას კვანძი“) და „მშვიდობის პარტია“ — კონფლიქტის დაუშვებლობის, მოლაპარაკების აუცილებლობის და რეჟიმთან თანამშრომლობის მსურველი. როგორც ყველგან, პოლიტიკურ და სასახლის ინტრიგებში პირველი სვლა გააკეთა „ომის პარტიამ“. გროზნოში ჩასულმა ვიცეპრეზიდენტმა ა.რუცკოიმ დუდაევს „ბანდიტი“ უწოდა, ხოლო ჩეჩნეთში მიმდინარე ამბები „ბანდიტიზმად“ მონათლა, რადგან დუდაევი აირჩიეს არა სახალხო არჩევნებით, არამედ პრეზიდენტად გამოაცხადა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — ჩეჩენი ხალხის კონგრესმა, რომელსაც კანონით არ ჰქონდა არჩევნების მოწყობის უფლება.

ამის შემდეგ 1991 წლის 2 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა მეხუთე ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას ჩეჩნეთის 27 ოქტომბრის არჩევნების უკანონობის შესახებ. ამ მომენტში ყრილობა რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა და პრეზიდენტსა და მას შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს. ხაზბულატოვი ამ დროს აბსოლუტური დემოკრატია და მისი მოადგილეებიც დემოკრატები არიან. სამართლის ყველა ნორმის მიხედვით ამ დღიდან დუდაევი არ წარმოადგენს ლეგიტიმურ პრეზიდენტს. მისი არჩევის პროცედურაც ბევრ წყლისქვეშა კლდეს ხვდება. რა ხდება შემდეგ?

1991 წლის 6 ნოემბერს „ომის პარტიის“ ლიდერი რუცკოი (მაშინ ჯერ კიდევ რუსეთის პრეზიდენტის თანამოაზრე) მოახსენებს ელცინს ჩეჩნეთში განსაკუთრებული მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ. [illegible]ბად-დება ბრძანებულება, რომელსაც [illegible] ადებს შახრაი და ხაზბულატოვი, ელცინი ხელს აწერს ბრძანებულებას და იგი ძალაში შედის 7 ნოემბერს. გროზნოში მიფრინავს ომონი, მაგრამ აეროპორტი ბლოკირებულია „ბოევიკებით“, ხოლო წინააღმდეგობის გაწევა მას არ ძალუძს, რადგან პირადი შემადგენლობა და იარაღი ცალ-ცალკე სხვადასხვა თვითმფრინავით მიფრინავს და ჯდებიან სხვადასხვა აეროდრომზე. დუდაევი ჩეჩნეთში აცხადებს სამხედრო მდგომარეობას.

უკვე ამ მომენტში ჩეჩნეთის კარტი გამარჯვებულ დემოკრატებში თამაშდება, როგორც ცენტრალიზებული ტენდენციების შემზღუდველი. მოგვიანებით ცენტრალიზმის ეს შეზღუდვა გადაიქცევა დესტრუქციის გაშლად.

მაშინაც ცხადი იყო, რომ „ომის პარტიასა“ და „მშვიდობის პარტიას“ შორის ეს კონფლიქტი არის არა იდეოლოგიური, არამედ სახელმწიფოებრივი. ისიც ცხადი იყო, რომ გორბაჩოვის მიმავალ გუნდს არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ ფეხი დაედო დემოკრატიული ჩამოსხმის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებისათვის.

მართლაც, რუსეთის კანონების აღდგენის მისწრაფებას და არჩევნების ნორმალური პროცესის უზრუნველყოფის სურვილს მოჰყვა წივილ-კივილი ჩეჩნეთის წინააღმდეგ აგრესიის შესახებ. ამ ლოზუნგის ქვეშ მოსკოვში აქტიურობს ეგრეთწოდებული „მშვიდობის პარტია“, სადაც ყველაზე შესამჩნევი ფიგურაა რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატი, პრეზიდენტის მრჩეველი ნაციონალურ საკითხებში გალინა სტარავოიტოვა. ს. შახრაი ბრალს დებს (ალბათ საფუძვლიანს) განსაკუთრებული მდგომარეობის ჩავარდნის გამო საკავშირო ორგანოებს. ამ სტრუქტურების ხელმძღვანელთა და სტარავოიტოვას კავშირები, როგორც იტყვიან ზედაპირზეა. მოხვდა რა პირველად ხაფანგში, შახრაი მხარს უჭერს რფ-ს უმაღლესი საბჭოს 11 ნოემბრის გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მდგომარეობის მოხსნის შესახებ.

11 ნოემბერს რფ-ს უმაღლესი საბჭო ხსნის პრეზიდენტის ბრძანებულებას განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ.

გალინა სტარავოიტოვა რფ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით იწყებს დუდაევთან სატელეფონო საუბარს, ამასთან ერთად იძლევა ინტერვიუებს, რომელშიც ხაზგასმულია ამ გენერლის დემოკრატიულობა.

მოსკოვის პრესაში გრძელდება ანტირუსული კომპანია. 1992 წლის დასაწყისში რუსეთის ჯარები მიდიან ჩეჩნეთიდან და დუდაევს უტოვებენ 400 ათას თანამედროვე სასროლ იარაღს, 30 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს, 100 ერთეულ ჯავშანტექნიკას, 600 რეაქტიული სისტემის საცეცხლე დანადგარ „გრადს“, თითქმის 200 თვითმფრინავს.

## 1994 წ. ნოემბერი. «მე შენ მოგკლავ»

ს. შახრაი აცხადებს: „ჩვენ ჩეჩნეთში სიტუაციას ვაფასებთ, როგორც თავისუფალი კრიმინალური ეკონომიკური ზონის მოქმედებას, რომელიც წარმოიშვა 1991 წლის გადატრიალების შედეგად“. აღნიშნა, რომ ის გამორიცხავს კონფლიქტში რუსეთის არმიის მონაწილეობას, მაგრამ დაუმატა, რომ „ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გამოვიყენებთ შს სამინისტროს ძალისმიერ სტრუქტურებს“. „ჯოხარ დუდაევი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წავიდეს. რუსეთის პრეზიდენტისა და პრეზიდენტ დუდაევის მოლაპარაკება, ჩემი აზრით, შეუძლებელია“.

26 ნოემბერს ოპოზიციის ძალებმა დაიწყეს გროზნოზე შეტევა 9 შიბარეულებით. ბატალიონებს ერთმანეთს შორის არა აქვთ კავშირი. მოლაშქრეები აგვიანებენ რამდენიმე საათს. ტანკები წინ უსწრებენ ქვეით ჯარისკაცებს და მათი მხარდაჭერის გარეშე [illegible] ქალაქში. ტანკების შეტევის [illegible]

არ არის აღნიშნული. ტანკები გადიან პრეზიდენტის სასახლესთან და ჩერდებიან. პირველი შოკისაგან თავისუფლდებიან დუდაევის მეომრები და მიჰრით ბომბებით აფეთქებენ ტანკებს. ოპოზიციის სახალხო მოლაშქრეები ქალაქში შედიან და მაროდიორობენ. ისინი ფიქრობენ, რომ საქმე გაკეთებულია და ტანკებს დაუცველს სტოვებენ.

27 ნოემბერს ოპოზიციის ძირითადი ძალები უკან თერგის უღელტეხილისკენ იხევენ, საწყის პოზიციებზე. რუსეთში იწყება რუსეთის არმიის ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცრების გარშემო კომპანია.

28 ნოემბერს პ.გრაჩოვი უარყოფს ბრალდებას კონფლიქტში რუსეთის
არმიის მონაწილეობის შესახებ.

29 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გამოვიდა „ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეებისადმი „მიმართვით“. მასში ის მოითხოვდა მოწინააღმდეგე ძალებისაგან 48 საათის განმავლობაში იარაღის დაყრის და ყველა შეიარაღებული ფორმირებების დაშლას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნათქვამი იყო „მიმართვაში“, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ცხადდებოდა განსაკუთრებული მდგომარეობა.

მოხდა გარდაუვალი: მოსკოველი მოთამაშეები თავად იქცნენ სხვის ხელში სათამაშო ქვებად. ყოველივე ამისაგან კი რუსეთის სახელმწიფოებრიობა ზარალობს, რომელიც ერთი ასეთი ჩავარდნიდან მეორეში გადადის.

## ბალტიისპირეთის კვალი

**არსებობს** ყველა საფუძველი მტკიცებისა, რომ დუდაევი დიდი ხანია დაკავშირებულია ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ნაციონალურ მოძრაობებთან.

1987 შლიდან 1990 წლამდე გენერალი დუდაევი მსახურობდა ესტონეთში მძიმე ბომბდამშენების დივიზიის უფროსის თანამდებობაზე, ასევე იყო ტარტუს გარნიზონის ხელმძღვანელი. საბჭოთა ეპოქაში ტარტუ ითვლებოდა ესტონური ნაციონალიზმის ცენტრად. ტარტუს უნივერსიტეტში მუშავდებოდა სუვერენიზაციის იდეები, სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმები ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სსრკ-დან გამოყოფის.

ესტონელთა შორის დუდაევი ცნობილი იყო „მეამბოხე გენერლად“. ამ დროს, როცა სხვა, მათ შორის საავიაციო ნაწილები ბლოკირებული იყო „მწვანეთა პოლკებით“ და კედლებზე აჭრელებული იყო წარწერები „ოკუპანტებო —გაეთრიეთ ესტონეთიდან“, „სტალინის შევარდნებო, გაეთრიეთ რუსეთში“, ტარტუს გარნიზონში სიმშვიდე სუფევდა. „თავისიანებს“ ესტონელი ნაციონალისტები არ ერჩოდნენ.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელად გახდომის შემდეგაც, დუდაევი ბალტიისპირეთის მიმართ გულგრილი არ გამხდარა, განსაკუთრებით მისი „მემარჯვენეებისადმი“. გროზნოში აკრედიტირებული იქნენ ბალტიის ქვეყნების მემარჯვენე გაზეთების კორესპონდენტები, კერძოდ, ლიტვის „ლიტვოს აიდასი“. ხოლო 1993 წლის იანვარში დუდაევი ესტუმრა ვილნიუსს. ლიტვის ხელისუფლება არც მალავდა, რომ დუდაევი მიიწვია ლიტვის ოპოზიციამ ლანდსბერგისის მეთაურობით. თუმცა უკანასკნელ მომენტში ამ უკანასკნელმა მიწვევაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, დუდაევი მაინც ჩავიდა ლიტვაში და ის მიიღო სეიმის თავმჯდომარემ ჩესლოვას იურკინასმა. ამ შეხვედრის შემდეგ იურკინასმა განაცხადა, რომ „ჩეჩნეთის მხრიდან იყო საინტერესო წინადადებები“. ხოლო 1993 წლის 20 და 21 მარტს ორი თვითმფრინავით ტალინიდან გროზნოში (დიპლომატიური ფოსტის საფარველით) ჩამოიტანეს 13,2 ტონა საბჭოთა ფული 2,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. ამით ესტონეთის მთავრობა დაეხმარა თავის „ძველ ძმას“. 1992 წლის 20 ივნისს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების უარყოფის ხარჯზე, რომელიც ითვალისწინებდა ვალდებულებას, რომ ესტონეთში ფულადი რეფორმის ჩატარების შემდეგ ამ ქვეყნის მთავრობა რუსეთს დაუბრუნებდა ამ ფულის მასას. ხელშეკრულებას ხელს აწერდა ესტონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ტ. ვიახი და რფ-ს მთავრობის თავმჯდომარე ე. გაიდარი.

1994 წლის თებერვალში ჯ. დუდაევი კვლავ იმყოფებოდა ვილნიუსში. „ლიტვა ჩეჩნეთისთვის არის კარები დასავლეთისკენ, ხოლო ჩეჩნეთი ლიტვისთვის არის



კარები სამხრეთისაკენ“ — განაცხადა მაშინ დუდაევმა. ამის საპასუხოდ ლიტველმა „მემარჯვენეებმა“ განაცხადეს, რომ თავისუფლებისათვის სამი ნამდვილი მებრძოლისაგან (გამსახურდია დაიღუპა, ლანდსბერგისი გარიდებულია) დარჩა მხოლოდ დუდაევი. ლიტვის მემარცხენე პრესის განცხადებით, ლიტვის სეიმში და „საუდისის“ ძველ სტრუქტურებში არის გავლენიანი ჩეჩნური ლობი, რომლის ანგარიშზეა განუხორციელებელი ცდა ყალბი ავიზოთი ფული დაესვათ ლიტვის ჩეჩნურ ბანკში, ასევე იარაღითა და საწვავით ვაჭრობის ორგანიზება.

ლიტველი პოლიტიკოსები იმყოფებოდნენ ჩეჩნეთში. ისინი გადმოფრინდნენ გროზნოში გამსახურდიას ნეშტის ექსპერტიზისა და მის გასვენებაში მონაწილეობისათვის. 1994 წლის მაისში ლიტვის პოლიციის უმაღლეს სასწავლებელში 50 ჩეჩენმა მებაჟემ მიიღო დიპლომი. 1994 წლის ზაფხულის თვეებში გროზნოში ჩამოფრინდა ლიტვის ოპოზიცია. მემარჯვენე პრესაში გაღვივდა კომპანია „ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დაცვის“ გარშემო. ლანდსბერგისმა ხელი მოაწერა განცხადებას რომელიც გმობს რუსეთის პოლიტიკას რეგიონში და მიიწვია გროზნოს ისლამის ინსტიტუტის რექტორი ხაჯი ნასუხანოვი ლიტვაში. და ბოლოს 26 ნოემბრის გროზნოს განუხორციელებელი შტურმის შემდეგ დუდაევმა მოლაპარაკების შუამავლად ლანდსბერგისი დაასახელა, ხოლო მოლაპარაკების გამართვის ადგილად ვილნიუსი.

ბალტიისპირეთში 1988-1991 წლებში განვითარებულ მოვლენებსა და ჩეჩნეთში 1991-1994 წლებში მიმდინარე მოვლენებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსება.

ორივე შემთხვევაში გამოირჩევა ქვეყნის რეჟიმის იდეოლოგის ვიზიტი რეგიონებში და მათ მიერ ნაციონალური მოძრაობებისადმი მხარდაჭერა. 1988 წლის ზაფხულში ა.ნ. იაკოვლევი ეწვია ლიტვას და ლატვიას, ხოლო 1991 წლის ნოემბერში გ. ბურბულისი ჩადის ჩეჩნეთში.

ორივე შემთხვევაში ამ მხარდაჭერას „დემოკრატიული“ ძალებისა მივყავართ სულ სხვა შედეგებამდე, ვიდრე ფიქრობდნენ მათი მოსკოველი მფარველები. ნაციონალ-დემოკრატები თავიანთ პრეტენზიებში უფრო და უფრო შორს მიდიან და კრემლის ხელმძღვანელობა ცდილობს მათ მოთოკვას. 1988 წლის ნოემბერში სსრკ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ბალტიისპირეთის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს იმ საკანონმდებლო აქტების გაუქმებას, რომლებიც არღვევენ სსრკ-ს კონსტიტუციას, ხოლო 1991 წლის ნოემბერში რფ-ს სახალხო დეპუტატთა ყრილობა დუდაევის არჩევას პრეზიდენტად უკანონოდ თვლის.

## ჩეჩნეთის როლი ნავთობის ომში

**ჩეჩნეთის** კრიზისის გამწვავება იწყება კასპიის ზღვის ნავთის გადამუშავებაზე მოლაპარაკების კონტექსტში. თანაც თვალში გეცემათ განსაზღვრული სინქრონულობა ჩეჩნეთის კონფლიქტის გამწვავებასა და კასპიის ნავთობზე წარმატებით ჩატარებულ საერთაშორისო მოლაპარაკებებს შორის. შევადაროთ: ცენტრალური მოვლენები ჩეჩნეთში (ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთის ფედერაციისათვის), სექტემბერ-ოქტომბერში 1991 წელს ჩეჩნეთის უზენაესი საბჭოს დათხოვნა და დუდაევის არჩევა პრეზიდენტად.

აზერბაიჯანში იმავდროულად 1991 წლის შემოდგომაზე იწყება მოლაპარაკება ბაქოსა და დასავლეთის ნავთის მომპოვებელი კომპანიების კონსორციუმს შორის კასპიის ზღვის ნავთის საბადოების „აზერის“, „ჩორაყის“ და „გიუნეშლის“ ერთობლივ დამუშავებაზე.

პროექტის რეალიზაცია გათვლილია 30 წელიწადზე 500 მლნ ტონა ნავთის მოპოვებაზე და 6 მილიარდი დოლარის ინვესტიციაზე.

კონსორციუმის საწყისი შემადგენლობაა: „ბრიტიშ პეტროლეუმი“, მოწინავე ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიები „ამოკო“, „იუნოკალი“, „პენზოილი“, „მაკდერმოტი“, „რემკო“, ნორვეგიული „სტატოილი“ და თურქული „პეტროლიუმ კომპანი“.

1993 წლის დეკემბერში მწვავე დიპლომატიური განცხადებების შემდეგ კონსორციუმში შევიდა რუსეთის „ლუკოილი“.

მთელი ამ დროის მანძილზე, ბოლო წელს განსაკუთრებული ინტენსივობით განიხილებოდა ნავთობსადენების შესაძლებელი მარშრუტები და 4 ძირითადი ვარიანტი სახელდებოდა, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისი დეფექტები და უარყოფითი ნიშნები, ბუნებრივიც და შემდგომ შეძენილიც.

პირველი მარშრუტი მიდის დაღესტნის გავლით, გროზნოდან ნოვოროსიისკზე, შემდეგ ზღვით ბოსფორზე. ეს ვარიანტი საკმაოდ დიდ ხანს იყო ტაბუდადებული. ღიად ითქმებოდა მილსადენზე რუსეთის კონტროლის არახელსაყრელობა და სურვილის არქონა. ასეთივე ძლიერ რეაქციას იწვევდა ირანის მხრიდან კონტროლის შესაძლებლობის დაშვებაც კი. რომ არაფერი ვთქვათ მნიშვნელოვან ტექნიკურ სირთულეებზე, მილსადენის გაცვეთილობაზე, მის არასაკმარის გაღინების შესაძლებლობაზე, იმის აუცილებლობაზე, რომ საჭიროა ტრასის მთელ მანძილზე ამომქაჩი სადგურების მშენებლობა (რაც ინვესტიციების საკითხს აყენებს) ყველაზე უარყოფითად ამ მარშრუტის წინააღმდეგ გაილაშქრა თურქეთმა,დაკეტა რა ბოსფორი ტანკერებისათვის "ეკოლოგიური" მიზეზებით. მაგრამ მთავარ წერტილს აქ მაინც სვამს ჩეჩნეთის კრიზისი.

**მეორე გზა — საქართველოს გავლით ფოთის პორტში უკვე არსებული მილსადენით. შემდეგ ზღვით ბურგასში (ბულგარეთი) ტრანსპორტირება ალექსანდროპოლზე (სომხეთი) ხმელთაშუა ზღვისკენ.**

მესამე გზა —. აზერბაიჯანის გავლით, ამავე დროს მთიანი ყარაბახის ტერიტორიაზე, შემდეგ სომხეთზე (მეგრინის მონაკვეთში), თურქეთში ხმელთაშუა ზღვისკენ (ისკანდერუნი).

**ყველაზე მისაღებად ტექნიკურ-ეკონომიკური კუთხით ითვლებოდა გზა ფოთის გავლით, მაგრამ რუსეთის ყველა ძალისმიერი სტრუქტურა ამოძრავდა და საქართველო ჯერ მოიცვა ოსეთის კონფლიქტმა, ხოლო შემდეგ აფხაზეთის კრიზისმა.** და მაშინ 1992 წლის გაზაფხულზე დაიწყეს მესამე ვარიანტის განხილვა. ამერიკელების მიერ წამოყენებული იქნა „გობლის გეგმა“, რომლის მიხედვითაც მთიანი ყარაბახის სომხური რაიონები ლაჩინის გასასვლელით გადაეცემოდა სომხეთს, ხოლო აზერბაიჯანი იღებდა მეგრინის მონაკვეთს და უერთდებოდა სახეკენთ. 1993 წლის გაზაფხულზე ხელი მოეწერა მემორანდუმს, ხოლო ლონდონში უნდა მოეწერათ ხელი ხელშეკრულებისთვის, მაგრამ სომხეთის ჯარებმა რუსეთის მე-7 არმიის დახმარებით აიღეს კედბაჯარის რაიონი, მოხდა რუსეთის დაყენებული კაცის სურეთ ჰუსეინოვის აჯანყება. ამდაგვარი არეულობები გრძელდებოდა თითქმის მთელი წელიწადი და მივედით იქამდე, რომ ამ ზაფხულს სტამბულში დაიწყეს გარჩევა ვარიანტის ბაქო-გროზნო-ნოვოროსიისკი, შემდგომ ითქვა სიტყვა: „ჩეჩნეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს დეკემბრამდე“.

ეს ვერსია წარმოიშვა ადრე, სანამ ხელს მოაწერდნენ კასპიის კონტრაქტს. თუ მივყვებით მის ლოგიკას, მაშინ ჩეჩნეთში სასწრაფო გადატრიალება საბოლოოდ განამტკიცებდა რუსეთის უფლებას ჩრდილოეთის მილსადენზე, მაგრამ მოხდა არა გადატრიალება, არამედ ჩიხში მომქცევი უსასრულო კონფლიქტი განვითარდა. ამაზე მეტყველებს მთელი წყება გროზნოს დაუმთავრებელი შტურმები, რომლის განმავლობაშიც ნოვოროსიისკის ნავთობსადენის ვარიანტიც გადავიდა წინა ორის საეჭვო ხარისხის მარშრუტებში. აზერბაიჯანმა საბოლოოდ წამოაყენა ყველაზე სამხრეთის მარშრუტი ირანის გავლით ნახჭევანზე, თურქეთში ისკანდერუნისკენ (ჯეისენის პორტში). ეს პროექტი ითვლებოდა ყველაზე საეჭვოდ კასპიის ხელშეკრულების დადებამდე, მუდმივად არსებული ქურთების პრობლემის გამო და დასავლეთის ირანთან კონფლიქტის მიზეზით, აშშ და დიდი ბრიტანეთი წინააღმდეგნი იყვნენ. ამას კი მნიშვნელობა ჰქონდა კიდევ იმიტომ, რომ ხელმძღვანელი როლი და ინიციატივა კონსორციუმში ეკუთვნის „ბრიტიშ პეტროლიუმს“, რომლის წარმომადგენლები აზერბაიჯანში გამოჩნდნენ ჯერ კიდევ 1990წელს. ეს პროექტის ყველაზე დიდი ინვესტორია,რაც საბოლოოდ განისაზღვრა 1994 წლის თებერვალში, მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის ივნისში კონსორციუმი იქნებოდა ამერიკული ფირმის „ამოკოს“ ხელმძღვანელი როლით.

პრესის ინფორმაციებით (ნეგა) „ბრიტიშ პეტროლიუმსა“ და ამერიკულ კომპანიებს შორის შეჯიბრში ოფიციალურმა ბაქომ ლონდონი ამჯობინა.

ნავთობთან დაკავშირებით გადამწყვეტი ხელშეკრულების დადება კვლავ დაემთხვა ჩეჩნეთის კონფლიქტის მწვავე ფაზას. მაშინ თებერვალში გროზნოსადმი დაუმორჩილებელ ნადტერეჩნი რაიონში შეიქმნა ჩეჩნეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო რაიონის მერის უმარ ავტურხანოვის ხელმძღვანელობით. 2 აგვისტოს ჩეჩნეთში გამოქვეყნდა დროებითი საბჭოს განცხადება დუდაევის გადაყენების შესახებ. 11 აგვისტოს გამოვიდა დუდაევის ბრძანებულება სამხედრო მდგომარეობის შემოღებისა და მობილიზაციის დაწყების შესახებ. სექტემბერში დაიწყო დიდმასშტაბიანი შეტაკებები დუდაევის ჯარებსა და ოპოზიციის ფორმირებებს შორის ურუს—მარტანში, დოლინსკაროში და არღუნში. ამ დროს (10 სექტემბერს) გროზნოში ზეიმობენ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის სამ წლისთავს. ამ პერიოდში კრიზისი ზენიტს აღწევს, ხოლო ბაქოში 20 სექტემბერს მოლაპარაკების 3 წლისთავი სრულდება კონტრაქტის ხელმოწერით ნავთობის ერთობლივი გადამუშავების შესახებ შემდეგი წილობრივი მონაწილეობით:

„ბრიტიშპეტროლიუმი“ — 17, 127 პროცენტი.

„ამოკო“ — 17,01, „მაკდერმოტი“ 2,45, „პენზოილ/რემკო“ — 11,90, „ტიურკიშ პეტროლიუმ კომპანი“ — 1,78, "ლუკოილ" 10, "ფნკა" საწყის ეტაპზე 20 პროცენტი.

ჩამოყალიბებულ სურათს, სხვათაშორის, ავსებს ინფორმაცია,რომელიც გავრცელდა სექტემბრის დასაწყისში. აზერბაიჯანულმა პარტიამ "ბოზგურად" (ნაცრისფერი მგლები) გამოაცხადა ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი პატრიოტული სოლიდარობა. პარტიის საინფორმაციო სამსახური ით-

დასასრული მე-7 გვ.

ПОЛЕМИКА

# არა მხოლოდ გაუგებრობა!

მესამე გვერდიდან

ვარს რელიგიის პოზიციიდან ვხედავთ, ის რა თქმა უნდა ზედროული არსებაა — სამების ერთ-ერთი იპოსტასი. ღმერთის რანგში ამაღლებული მაცხოვრის შესახებ გამოთქმული დადებითი თუ უარყოფითი აზრი საბოლოოდ მაინც ვერ გამოხატავს მის არსებას, ვინაიდან ღმერთი საბოლოოდ ყოველგვარ დადებითსა და უარყოფით განსაზღვრებებზე მაღლა დგას (ასე გაგებული ღმერთისათვის ყოველგვარი „ცოდნის", „განათლების"... მისადაგება უადგილო და სრულიად ზედმეტია!); ღმერთზე, როგორც სამყაროს შემოქმედზე, ყოველად სრულყოფილსა და აღმატებულზე მსჯელობა ადამიანისეული კატეგორიებით ყოველად დაუშვებელია. ეს ტრადიციული ღვთისმეტყველების ანბანური ჭეშმარიტებაა! გამომდინარე აქედან თუკი მკრეხელობაა ღმერთზე რაიმეს არცოდნის მიწერა, ასევე მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს მისდამი რაიმეს ცოდნის მიწერაც, გამოთქმა — „ღმერთის შეურაცხყოფა" და ა.შ. რადგანაც, ეიმეორებთ: ღმერთი ყოველგვარ განსაზღვრებაზე მაღლა დგას და მისდამი რაიმეს მიწერა,ისევ და ისევ ჩვენი მიზნებითაა გამართლებული, ჩვენ გვჭირდება და არა საკუთრივ ღმერთს. ღმერთის არსებას (და არა „არსებობას" როგორც წერილშია. ეს კორექტურაა, რაც გადმოვიდა ვ. რცხილაძის პასუხშიც — მ.მ.) უფრო შეესაბამება მასზე არაფრის თქმა — დუმილი".

დაინტერესებულ მკითხველს ეს ჩვენი ვრცელი ციტატა რაღაცას უნდა ეუბნებოდეს. მაგრამ ის ხელს არ აძლევს ვ. რცხილაძეს და კრიტიკული შეფასების ნაცვლად უმოწყალოდ ჩეხავს ციტატას. ამ ერთი აბზაციდან ოპონენტი იღებს რამდენიმე წინადადებას და ასეთ კონტექსტში იმოწმებს: „ღმერთი საბოლოოდ ყოველგვარ დადებითსა და უარყოფით განსაზღვრებაზე მაღლა დგას (ასე გაგებული ღმერთისათვის ყოველგვარი „ცოდნის", „განათლების"... მისადაგება უადგილო და სრულიად ზედმეტია!)". და ამთავრებს ასე: „ღმერთის არსებას უფრო შეესაბამება მასზე არაფრის თქმა — დუმილი".

ახლა ვიკითხოთ: რამდენად ეთიკურია ციტატის ისე დამოწმება, რომ წინადადებაში გამოტოვო წინამავალი თხუთმეტამდე სიტყვა და თანაც რაიმე მინიშნება არ გააკეთო ამაზე? მთავარი კი ისაა, რომ ოპონენტმა მკითხველს ნამდვილად დაუმალა ფრაზები, რომლებიც მის პოზიციას არ შეესაბამებოდა. მხედველობაში მაქვს აზრი, რომ ღმერთისადმი რაიმის მიწერა ისევ და ისევ ჩვენი მიზნებითაა გამართლებული, ჩვენ გვჭირდება და არა ღმერთს. ოპონენტს ეს აზრი „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველის სამსჯავროზე რომ გამოეტანა, მაშინ გამარჯვებულის ტონით ვეღარ დამმმოძღვრავდა: სახარებაში ლაპარაკია ქრისტეს ღვთაებრიობაზე,არაერთი ფილოსოფოსი და მეცნიერი აღიარებდა ღმერთის არსებობას და ა.შ.მაგრამ ამის მთქმელმა ნუთუ არ იცის, რომ სახარებაც ადამიანისათვისაა დაწერილი და იმ დიდი ფილოსოფოსებისა თუ მეცნიერების ნათქვამები ვერ შეცვლის ღმერთზე რელიგიურ და ფილოსოფიურ პოზიციებს შორის განსხვავებას და ვერ დაარღვევს იმ საყოველთაო აზრს, **რომ ღმერთი როგორც სრულყოფილი არსების გადმოცემა არასრულყოფილი არსებების სფეროდან აღებული განსაზღვრებებით, შეუძლებელია.**

ან იმას რატომ არ აქცევს ყურადღებას ოპონენტი, რომ მასთან საუბარია საკითხისადმი სუპრანატურალისტურსა და ათეისტურ მიდგომაზე, ჩემთან კი რელიგიურსა და მეცნიერულზე. როგორც ჩანს ვ. რცხილაძისათვის „მეცნიერული" და „ათეისტური" თანაბარფარდოვანი ცნებებია, მაგრამ საოცარი ისაა, რომ თავის ამ პოზიციას

არეოპაგიტიკის საკითხებზე მსჯელობისას ოპონენტი მახსენებს მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებს არეოპაგიტიკაზე და ვლ. ლოსკის თვალსაზრისს აპოფატიკურ ღვთისმეტყველებაზე— როგორც აბსოლუტურად შეუმეცნებად ღმერთზე მოძღვრებაზე. აქვე გაკვრივებული კითხულობს: „მაგრამ რა შუაშია აქ. მ. მახარაძე? მისთვის ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანია „თავისი ღირსებებითა და ადამიანური ნაკლოვანებებით". ოპონენტი აქაც მორიგ მანიპულაციას მი-

ამასთან დაკავშირებით, რომ მე გაუმართლებლად მივიჩნიე გამოთქმა „ღმერთის შეურაცხყოფა", ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, თუნდაც კირკეგორს. მხედველობაში მქონდა ის გარკვეება და ეს აღვნიშნე კიდეც, რომ უმაღლეს არსებაზე ადამიანური ქცევების შეფასების სფეროდან აღებული კატეგორიებით მსჯელობა დაუშვებელია. პასუხში ოპონენტი, სრულიად უადგილოდ, დანტესაც იმოწმებს თავისი აზრის გასამაგრებლად. რახან ოპონენტისა-

კირკეგორი, რომ დიდი მოაზროვნეა, ეს „აღმოჩენა" ვ. რცხილაძეს არ ეკუთვნის. ეს ძლება მკვლევარმა „თავისი ინტერესების გათვალისწინებით" უპირატესობა მიანიჭოს ან ერთ მოაზროვნეს, ან მეორეს და ა.შ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვით დიდი მოაზროვნეების წვლილი ფილოსოფიის განვითარებაში ერთნაირია. ამ კუთხით იყო საუბარი ჩემს წერილში და რა არის აქ სადავო და გაუგებარი.

ბ-ნი ვ. რცხილაძე ჩემი მისამართით აღნიშნავს, სხვას რომ საყვედურობ ამ წიგნის გაცნობა გმართებდაო, შენც ხომ გმართებდა ჩემს მიერ თარგმნილი ქუირინ ჰუონდერის წიგნის წაკითხვა, რომელიც ჟურნალ „რელიგიაში" გამოქვეყნდაო, მითუმეტეს, ამ ჟურნალში შენი წერილიც დაიბეჭდაო.

ჯერ —ერთი, ჩემი შენიშვნა (და არა საყვედური!) გარკვეული ვითარებით იყო ნაკარნახევი და მეორეც: ვინ უთხრა ვ. რცხილაძეს, რომ არ ვიცი ამ თარგმანის შესახებ. ძალიანაც კარგად ვიცი, ვცადე მისი წაკითხვა, მაგრამ ჟურნალ „რელიგიის" 1992 წლის მე-10 ნომრის (ამ ნომრით დაიწყო Quirin Huonder-ის Die Cottesbeweise (Geschichte und Schacksal), Stuttgart, 1968. ვ. რცხილაძისეული თარგმანი და დასრულდა მე-12 ნომერში) 83-ე გვერდზე შევწყვიტე კითხვა. თუ რატომ მოგახსენებთ.

კითხვა შევწყვიტე იმის გამო, რომ ეჭვი შემეპარა თარგმანის სანდოობაში. კერძოდ, მთარგმნელი ქ. ჰუონდერის წიგნის სათაურის პირველ ნაწილს — Die Cottesbeweise თარგმნის სამი სიტყვით: „ღვთის არსებობის მტკიცებები", რაც ჩვენი აზრით მთლად ადეკვატურად ვერ გადმოსცემს დედანის არსს.

64-ე გვერდზე წიგნის პირველივე ქვესათაური ასეა თარგმნილი — „ღვთის არსებობის **მტკიცებათა დასაბუთება** და ფორმირება ბერძნულ ფილოსოფიაში", ხოლო 84-ე გვერდზე ერთ-ერთი ქვესათაური ასეა წარმოდგენილი: „ღვთის არსებობის **მტკიცებათა განვითარება** ავგუსტინეს მიერ და სქოლასტიკაში".

მთარგმნელი ანგარიშს არ უწევს ქართველ მკვლევარებს, ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ გამოთქმას — „ღმერთის არსებობის დასაბუთებები" და აქედან მომდინარეობს მასთან ქ. ჰუონდერის წიგნის სათაურის ამგვარად თარგმნა, „მტკიცებათა დასაბუთება" თუ „მტკიცებათა განვითარება".

თარგმანზე დართულ წინასიტყვაობაში კი ვ. რცხილაძე კარლ იასპერსის ერთი აზრის თარგმნისას ხმარობს ცნებას „ფილოსოფირება" (გვ. 61). თუ რანაირი ქართულია „ფილოსოფირება" ამაზე მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

83-ე გვერდზე კი, სადაც გადმოცემულია პლოტინის აზრი პირველმიზეზზე, პირველზე ვკითხულობთ: „პირველი, სახელდობრ, უნდა იყოს **უბრალო**... ნეოპლატონიკოსების პირველი ანუ ღმერთი არის მარტივი, რაც სრულყოფილების გამომხატველია, და მას არაფერი აქვს საერთო ცნებასთან — „უბრალო".

აქვე მივმართავ ოპონენტს: თუ ის დაასაბუთებს, რომ თარგმნის გზა, რომელიც მან

დასასრული მე-8 გვ.

აქეთ მომაწერს პასუხში.

რის საფუძველზე ფიქრობს ოპონენტი, რომ ქრისტიანული ფილოსოფიის მკელევარმა არაფერი ვიცი რა წერია სახარებაში ღმერთზე, რას ამბობდნენ და როგორ ახასიათებდნენ ღმერთს ღვთისმეტყველები და ფილოსოფოსები და ა.შ. მაგრამ მე ხომ ხაზგასმით მქონდა აღნიშნული, რომ ღმერთი საბოლოოდ ყოველგვარ განსაზღვრებაზე მაღლა დგას და მისი დახასიათება შეუძლებელია ადამიანისეული (ესე იგი არასრულყოფილი) კატეგორიებით. რასაც ახლა ვამბობთ როგორც ღვთისმეტყველების, ისე შესაბამისი ფილოსოფიური მოძღვრებების ქრესთომატიული დებულებაა: („და მრავალი ღმრთისმეტყველთაგანი ჰპოვნე, რომელთა არა ხოლო უხილობაი და მიუწვდომლობაი იგალობეს მისთვის, არამედ თანაც გამოუძიებლობაიცა და გამოკულევლობა, ... ვითარმედ რაიცა იგი არს, მისი ცნობაი და ხედვაი ყოველთა არსთაგან შეუვალ არს, ვითარცა ზეშთაარსებისა ყოველთაგან ამაღლებული" (პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ; 1961, გვ. 6-7). მკითხველს არ გაუჭირდება იმის გაგება, რომ აქ ღმერთზეა საუბარი.

პასუხში ვ. რცხილაძე იმდენად კადნიერდება, რომ ლექციებსაც მიკითხავს არეოპაგიტიკის საკითხებზე და იქვე დასძენს: „მ. მახარაძემ უნდა უწყოდეს, რომ თანამედროვე ღვთისმეტყველებაში (ჰ. ფორგლიმერი) ნეგატიური თეოლოგია მიჩნეულია ერთ-ერთ გზად ღვთისშემეცნებისა და მას აგნოსტიციზმთან არაფერი აქვს საერთო". ეს ადგილი რომ წავიკითხე, თვალებს არ დავუჯერე — რის საფუძველზე შეიძლება დაუშვა მკვლევარმა (თუნდაც შესაძლებლობაში!) საერთოს მონახვა ფილოსოფიურ მოძღვრებას — აგნოსტიციზმსა, რომელიც გარე სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას უარყოფს და აპოფატიკურ ღვთისმეტყველებას შორის, რომელიც ღმერთის უარყოფითი დახასიათებით მის ზეშთაარმატებულობაზე მიგვანიშნებს. აქ სრულიად ზედმეტი და გაუგებარია ვ. რცხილაძის აღნიშნული — აპოფატიკურ ღვთისმეტყველებას არაფერი აქვს საერთო აგნოსტიციზმთან. ეს იგივეა, რაც მტკიცება იმისა, რომ ცეცხლი არაა ყინული. ყველაფერი ეს კი გახლავთ ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის კარდინალურ საკითხებზე მოყვარულის პოზიციიდან მსჯელობის შედეგი.

მართავს. ჩემს წერილში აღნიშნულია, რომ მეცნიერი ვისთვისაც ქრისტე ისტორიული პიროვნებაა, მისთვის მაცხოვარი"უპირველესად ადამიანია".ვ. რცხილაძეს ჩემი ეს აღნიშვნა ხელს არ აძლევდა და ბრჭყალების მოხსნით მისთვის სასურველი კორექტივი შეიტანა ჩემს ნათქვამში.

განა ნორმალურ ადამიანს მოუვა აზრად, რომ მაცხოვარი, თუნდაც ისტორიული პიროვნება, **ვის** სახელთანაცაა დაკავშირებული ახალი ერის დასაწყისი კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, „ჩვეულებრივი" ადამიანია.

მე არასოდეს მომსვლია აზრად და არც დამიწერია,რომ ქრისტე „ჩვეულებრივი ადამიანია" (ეს კი ნამდვილად იქნებოდა მკრეხელობა!) ეს „ჩვეულებრივი" ჩემს ნაწერში ოპონენტის „აღმოჩენაა".

რაც შეეხება მაქსიმე აღმსარებელსა და ვლ.ლოსკის, მათ თვალსაზრისებს ვ. რცხილაძის შეხსენების გარეშეც კარგად ვიცნობ და განხილული მაქვს კიდეც ისინი (აღმსარებლის კომენტარებზე სპეციალური გამოკვლევაც მაქვს მიძღვნილი). ვლ.ლოსკის კი, რომელიც არეოპაგიტიკაში ერთმანეთს უპირისპირებს კატაფატიკას აპოფატიკას და უპირატესობას ანიჭებს აპოფატიკას, არ ვიზიარებ, ამ საკითხში მართებულად მიმაჩნია ღვთისმეტყველების პრობლემების ასევე აღიარებული მკვლევარის ალ. ბრილიანტოვის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც არეოპაგიტიკაში ღმერთი ყოველგვარ — დადებითსა თუ უარყოფით განსაზღვრებებზე მაღლა დგას. ( **А.Бриллиантов. Влияние восточного богословия на западное в произведениях Иоанна Скота Эригены, СПБ, 1898,** გვ. 165).

აღნიშნულ საკითხში ალ. ბრილიანტოვის პოზიციას ვიზიარებ საკუთრივ არეოპაგიტიკის გათვალისწინებით, სადაც აღნიშნულია ღმერთზე „... არცა არს ყოვლად მისი მატებაი, გინა მოკლებაი; არამედ შემდგომად მისსაღა ვჰყოფთ მატებასა და მოკლებასა, და მას თავადს არცა რას ვჰმატებთ, არცა რას მოვაკლებთ, **ვინაითგან ზეშთა ყოველთა მატებათა და... ზეშთა ყოველთა მოკლებათა...**" (პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გვ. 229. ხაზი ყველგან ჩემია — მ.მ.).

ეს საკითხი არეოპაგიტიკაში ასევე ესმის საკუთრივ ვ. რცხილაძეს (იხ. ჟურნ. „რელიგია", №10, 1992, გვ. 72. სქოლიო).

ვ. რცხილაძე ერთ ამბავშია

თვის ჩემი მსჯელობის არსი გასაგებად რთულზე რთული აღმოჩნდა, იძულებული ვარ უფრო მარტივ მაგალითს მივმართო: ვინმემ მზეზე რომ თქვას „არ ანათებსო", ეს მზის შეურაცხყოფა იქნება თუ მთქმელის უმეცრება? აღნიშნულის გათვალისწინებით — გამოთქმა **„ღმერთის შეურაცხყოფა" გაუგებრობაზე მეტია!**

მოდით ისიც გავარკვიოთ, რომ, თუმცა კირკეგორი ღმერთის არსებობის დასაბუთების ყოველგვარ მცდელობას „ღმერთის შეურაცხყოფად" მიიჩნევდა, ქრისტიანულ ეკლესიას ამგვარი არგუმენტების ავტორები — ავგუსტინე, ანსელმ კენტერბერიელი, თომა აქვინელი,ბონავენტურა და სხვები, ანათემისათვის არ გადაუცია და პირიქით ზოგიერთი მათგანი წმინდანადაც შერაცხა. რა ვიფიქროთ ახლა — ეს საკითხი ვ. რცხილაძეს ქრისტიანული ეკლესიის მესვეურებზე მეტად აწუხებს? ჩემს წერილში ამ საკითხზეც მქონდა საუბარი, მაგრამ ოპონენტმა სრულიად გასაგები მიზეზების გამო, დუმილი ამჯობინა.

ოპონენტმა ასევე მტკივნეულად აღიქვა ჩემი შენიშვნა კირკეგორზე, როგორც „ეგზისტენციალიზმის დამაარსებელზე". უცხოელი ავტორიც შეაწუხა მისი „სიმართლის" დასამტკიცებლად. აქ დეტალურად აღარ გავიმეორებ წინა წერილში ნათქვამს, რომ დაუშვებელია ფილოსოფიური მიმდინარეობის დაარსებაზე მსჯელობა. ქართული სიტყვა „დაარსება" გულისხმობს კონკრეტულ დროს და გამომდინარე აქედან თუკი ვ. რცხილაძე ეგზისტენციალიზმის დაარსების თარიღს დაასახელებს, სადავოც აღარაფერი იქნება.

ოპონენტი პროვინციალიზმად მითვლის იმას, რომ ჩემს წერილში დეკარტი და ჰეგელი უფრო დიდ ავტორიტეტად მივიჩნიე, ვიდრე კირკეგორი. მისი აზრით: „არსებობენ დიდი და საშუალო ზომის მოაზროვნენი. ჩვენმა საუკუნემ დანიელი კირკეგორი დიდ მოაზროვნედ აღიარა. ხოლო ამ დიდებს შორის მკითხველი ვის აირჩევს, ეს უკვე მისი გადასაწყვეტია თავისი ინტერესების გათვალისწინებით".

ჰოდა, მეც ახლა სწორედ ამ „პროვინციალიზმის" პოზიციიდან ვკითხულობ: ქართული ენის რომელი ნორმებით ვსაუბრობთ „დიდ და საშუალო ზომის მოაზროვნეებზე" და როდის აქეთ ფასდება მოაზროვნე „ზომით" და მკითხველის არჩევანით?

# კონფიდენციალური მოხსენება

მეხუთე გვერდიდან

ყობინება ჩეჩნეთში „ნაცრისფერი მგლების“ ჩასვლის შესახებ, რომლებიც შეერწყნენ ქვეყნის დამცველებს გენერალ დუდაევის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ჩვენ ვხედავთ,რომ იქ, სადაც საქმე ეხება დიდ ნავთობს, მაშინ ყველა ბერკეტი ამოძრავდება და თუ ეს საჭირო იქნა, ტანკები შევლენ არა მარტო გროზნოში, არამედ კრემლის კარებშიც,რადგან თამაშდება მსოფლიოზე ძალაუფლება, რუსეთის ნავთობზე კონტროლი, მთელი ესენგეს ნავთობზეც კონტროლი — ეს კი არა მარტო დიდი ფულია, არამედ ძალაუფლებაც. საჭიროა დიდი ნებისყოფა და პრობლემის მნიშვნელობის ზუსტი გაგება, რომ გაუძლო ასეთი მასშტაბის კონფლიქტს.

## დასასრული

ჩეჩნეთის კონფლიქტი იღებს მეტ გასაქანს. საჭიროა შემდეგი:

1. საჭიროა არსებული სიტუაციის დაფიქსირება — ჩეჩნეთი რუსეთის ნაწილია. „აგრესია ჩეჩნეთის წინააღმდეგ“, „ჩეჩნეთის ოკუპაცია“, ეს არის სიტყვების თამაში, რომელსაც მივყავართ რუსეთის დაშლამდე.

2. ყველა პოლიტიკურმა ძალამ რუსეთის დაშლის საშიშროების წინაშე უნდა აღიაროს სახელმწიფოებრიობის იმპერატივი.

3. საჭიროა ფხიზლად შეფასდეს ლეგიტიმურობის დონე ხელისუფლების ყველა ცენტრისა ჩეჩნეთში. მათი მნიშვნელობა უნდა შეფასდეს მხოლოდ სამართლისა და რუსეთის კონსტიტუციის დაცვის პოზიციიდან.

4. საჭიროა დაიგმოს იმ პირებისა და სტრუქტურების არაადექვატური მოქმედება, რომლებმაც ჩეჩნეთის კონფლიქტის გარჩევა გადააქციეს ორაზროვანი ხასიათის პროვოკაციად.

საჭიროა ამასთანავე სამძიმარი გამოეცხადოს ამ პროვოკაციული ეპოპეის ყველა დაზარალებულს და რაც მთავარია, საჭიროა შესაბამისი გარჩევა.

5. საჭიროა ვაღიარონთ, რომ კატეგორიულად დაუშვებელია ანტიმოსკოვური ისტერიის გაჩაღება და რუსეთის მთლიანობის დარღვევა. არ არის და არც შეიძლება იყოს არანაირი ახსნა, რომელიც გაამართლებს სეპარატიზმს. საზოგადოებამ თავის თავზე იწვნია იგი 1991—94 წლების მოვლენებში და უნდა გაკეთდეს დასკვნები.

6. აუცილებელია გაკეთდეს ყველაფერი სიტუაციის პოლიტიკური მეთოდებით ნორმალიზაციისათვის. ამ მიზნით ჩეჩნეთში ჩატარდეს ნორმალური არჩევნები ადგილობრივი და ცენტრალური მომრიგებელი ორგანოების კონტროლქვეშ.

7. არავითარი პოლიტიკური მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე სუვერენული ჩეჩნეთის ლეგიტიმაციით თვით ამ ფაქტის დაშვებაც კი მიუღებელია.

8. შედეგები ამგვარი ლეგიტიმაციისა უნდა გააცნობიეროს ამ ჩანაფიქრის ყველა მომხრემ. ის ასეთი იქნება:

— მოლაპარაკება ლეგიტიმურს გახდის დუდაევს.

— მოლაპარაკების საგანი ყველა შემთხვევაში იქნება ჩეჩნეთის დეფაქტო, ჩეჩნეთის სუვერენიზაცია.

— მოლაპარაკების შემდეგ მსოფლიო საზოგადოების დაწოლის სიმტკიცე უფრო გაიზრდება და არ დაიკლებს, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენება.

— გამარჯვებული დუდაევი სიტუაციას სტაბილურს გახდის მისთვის კარგად ცნობილი მეთოდებით.

— ძლიერ გამწვავდება სიტუაცია ჩეჩნეთის შიგნით დაჯგუფებებს შორის.

კიდევ ერთხელ დამტკიცდება „რუსეთის სახე, როგორც იმათი მოღალატისა, ვინც მას ენდო და დაუჯერა“.

— რუსების მდგომარეობა ჩეჩნეთში ძლიერ გაუარესდება.

— გარდაუვალია მსგავსი პროცესების ამოფრქვევა რუსეთის სამხრეთში.

— არაერთმნიშვნელოვანი განწყობილებების პირობებში სამხრეთში ჯერ კიდევ სუსტი სეპარატისტული ტენდენციები შესაძლოა შექმნის ისეთ სამხრეთ რუსულ ანკლავს,რომელიც კავკასიის მხრიდან ძლიერი კონტროლის ქვეშ იქნება, რაც ლეგიტიმური იქნება სხვადასხვა სახის „სოციალურ-კულტურული ვერსიებით“.

— ადრე თუ გვიან ხელისუფლების ვაკუუმი შეივსება საერთაშორისო ძალებით, უფრო სწორედ აშშ-ს მხარდაჭერის ქვეშ თურქეთის გავლენით.

— საბოლოო დასკვნები ქმნიან საშიშროებას განუსაზღვრელი შედეგებით.პასუხისმგებლობა ამ შედეგებზე დააწვება მათ, ვინც გაფრთხილებული იყო, მაგრამ კონიუნქტურის გამო ან გაუაზრებლობით გადადგამს პირველ დაუფიქრებელ ნაბიჯებს, რომლის შემდეგაც გაჩერება ფაქტიურად შეუძლებელი იქნება.

9. არჩევნები ყველაზე უკეთესი პოლიტიკური გადაწყვეტაა.თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს ჩეჩნეთის ნაწილი, მაშინ ერთადერთი მექანიზმი — ეს არის „მწვანე ხაზი“ მტრულად განწყობილ ტერიტორიებს შორის. ასეთი მექანიზმი გამოყენებული იქნა კვიპროსში. რუსეთმა მხარი უნდა დაუჭიროს მათ, ვინც ისწრაფვის იარსებოს მისი კანონებით.

10. ჩეჩნეთის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, თუ რა არის ბოიარული არეულობა რუსეთში, და როგორ აირეკლება იგი რუსეთის მთლიანობაზე და ხალხების ბედზე. ჩვენი უმწიფარი ელიტარული ჯგუფის წინ არის სამი გზა — მოახერხოს, რეალურად მოილაპარაკოს და ამ მოლაპარაკების პირობები დაიცვას.

— მიიყვანოს საკუთარი ქვეყანა და ხალხი სასიკვდილო შეხლა-შემოხლამდე.

— იყვნენ გახვეტილნი, როგორც ხალხში ამბობენ „ჭუჭყიანი ცოცხით“.

(ქვეყნდება შემოკლებით).

გაზ. „კტო იესტ კტო“ №1 1995 წ.

თარგმნა

გია თვალავაძემ



ეკონომიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიზნესმენებს ხელშეწყობა და არა გატყავება

**ის,** რომ საბაზრო ეკონომიკას ჩვენი ქვეყნისათვის ალტერნატივა არ გააჩნია, საბედნიეროდ დღეს სადაო აღარ არის, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის რომ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ხელშემწყობი პირობებია საჭირო, შთაბეჭდილება რჩება,რომ ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებას ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული.

ვაჭრობა ბიზნესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, უფრო მეტიც, საბაზრო ეკონომიკის ბედი ბევრწილად არის დამოკიდებული ვაჭრობის განვითარებაზე. ამას თუ დავუმატებთ იმ მდგომარეობას, როცა სამოქალაქო და გარეშე ძალასთან გაჩაღებული ომის პირობებში სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა ხალხის ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას სურსათით და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტით, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვაჭრობის თავისუფლების დამვები, რომელიც რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1992 წლის 4 მაისის დადგენილების — "ვაჭრობის თავისუფლების შესახებ" საფუძველზე განხორციელდა, უდიდესი როლი ითამაშა ამ სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. კერძოდ, ხალხის დიდმა ნაწილმა მოახერხა კომერციულ საქმიანობაში აქტიური ჩაბმა,რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციის რესპუბლიკაში შემოზიდვას, უამრავი ადამიანის დასაქმებას და საერთო ჯამში ქვეყნის შიმშილის საფრთხიდან გადარჩენას. ამ დადგენილების ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს,რომ იმ დროს მთავრობაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეს რეალურად უწყობდნენ ხელს. რაც შეეხება აღნიშნულ დადგენილებას, იგი შეიმუშავა და მთავრობაში დასამტკიცებლად გადასცა რესპუბლიკის მთავრობასთან მოქმედმა ეკონომიკური რეფორმების შტაბმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერი ბატონი რომან გოცირიძე.

ამ დადგენილების მიხედვით პირველად რესპუბლიკაში საწარმოებს და მოქალაქეებს მიეცათ უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწარმოონ სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობა. ამავე დროს, მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანილი და მათ მისამართზე გამოგზავნილი საქონელი საბაჟო გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება. ამასთან ერთად, საწარმოებს და მოქალაქეებს უფლება მიეცათ მათთვის მოსახერხებელ ადგილებზე თავისუფლად ვაჭრობის. შინაგან საქმეთა ორგანოებს დაევალათ არ დაუშვან რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტვირთის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა — „აიკრძალოს სატრანსპორტო და სხვა საშუალებებით გადაზიდული ნებისმიერი ტვირთის დაკავება და ამოღება, გადაზიდული ტვირთისათვის რაიმე საბუთის მოთხოვნა (შეძენის ნებართვა, ლიცენზია, ზედდებული და ა.შ.) გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, — ჩაწერილია დადგენილებაში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ „ხელი შეუწყონ საწარმოთა და მოქალაქეთა თავისუფალ ვაჭრობას, სავაჭრო ადგილისა და ტერიტორიის კეთილმოწყობას, ამ ადგილებზე საზოგადოებრივი წესრიგის, სანიტარული ნორმების და წესების დაცვას.

მიიღონ ზომები ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საბითუმო ბაზრების ორგანიზაციის და მათ განსათავსებლად შესაფერისი ტერიტორიების გამოყოფის თაობაზე“. ვაჭრობის განვითარებასა და მოქალაქეთა ზრუნვაზე მეტყველებს დადგენილების მე-7 მუხლი, „მოქალაქეთა მიერ არაორგანიზებული ერთჯერადი საცალო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგები გათავისუფლდეს სახელმწიფო გადასახადისაგან“. ტვირთის საზღვარზე გადატანის გაიოლების მიზნით დადგენილებაში წერია: „დაწესდეს,რომ გადაზიდულ ტვირთზე ლიცენზიის მოთხოვნის უფლება აქვს, მხოლოდ სახელმწიფო საბაჟო სამსახურს“. "ლიცენზიის მოთხოვნა დაშვებულია მხოლოდ უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო საგუშაგოებზე ტვირთის საზღვარზე გადატანის მომენტში“.

ერთი თვალის შევლებით, თითქოს მთელი ქალაქი ერთ სავაჭრო დახლად ქცეულა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვაჭრობის, როგორც მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის საქმე რესპუბლიკაში მაღალ დონეზეა. თუ კი ღრმად ჩავწვდებით პრობლემებს, პირიქით უფროა. საქმე იმაშია,რომ ამ დადგენილების შესრულებას მაშინაც და მითუმეტეს ახლა, მრავალი დაბრკოლება შეუქმნეს. საშოვარზე გამოსული სახელისუფლო თუ არასახელისუფლო ძალისმიერი სტრუქტურები, შეიძლება ითქვას, რომ კანონის ყოველგვარი დარღვევით უხეშად ერევიან ბიზნესმენთა საქმიანობაში, უქმნიან დაბრკოლებებს საზღვრებზე, საბაჟოებში, გზებზე, სავაჭრო ადგილებში. აწერენ ათასნაირ ვითომ გადასახადებს,აშინებენ და ცოცხლად ატყავებენ. ამის გამო საქართველოში იქმნება ბიზნესის განვითარებისათვის არახელსაყრელი ვითარება, ქართველი ბიზნესმენები იძულების წესით სხვა ქვეყნებში გარბიან, ხოლო უცხოელები საქართველოსკენ არც კი იყურებიან. ყოველივე ეს იწვევს საქონლის დეფიციტს და გაძვირებას, რაც ხალხის გაჭირვებას კიდევ უფრო აძლიერებს.

მთავრობა, რომელიც აცხადებს, რომ ეკონომიკურ რეფორმებს ახორციელებს, აღნიშნულ პრობლემებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს და ჯერ კიდევ ორი წლის წინანდელი დადგენილების შესრულებაზე მაინც აიღოს პასუხისმგებლობა.

გია თვალავაძე

აირჩია მართებულია, გულწრფელად მივესალმები ამ ფაქტს. ეს ხომ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება უცხოური ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულად თარგმნის საქმეში.

ახლა საკუთრივ ქ. ჰუონდერის წიგნს. რაც წავიკითხე, იქ ისეთი სასწაული ვერაფერი ვნახე, რაც არ შემხვედრია მაგ. ჰ.რიტერის, ა. შტოკლის, ო. ბარდენჰეუერის,ვ. პრეგერის ა. დემპფის, კ. კრემერის... ალ. ბრილიანტოვის, ივ. პოპოვის ევგ. ტრუბეცკოის, ვ. ბიჩკოვის, გ. მაიოროვის... გერმანულსა თუ რუსულ გამოკვლევებში, ან ფილოსოფიის ისტორიის ქართველ მკვლევართა კურსებში, აღარაფერს ვამბობ საკუთრივ ამ წიგნში განხილულ ავტორთა შრომებზე.

ბ-ნ ვ. რცხილაძეს, ეტყობა მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით, წერილის ბოლოსათვის შემოუნახავს ერთი ფაქტობრივი ლაფსუსი ჩემი გამოსვლიდან — ერთადერთი საკითხი, რაშიც მართალი არა ვარ. კერძოდ, არ ყოფილა სიმართლე — გადმოცემა კოცონზე აყვანილი ჯორდანო ბრუნოს შეძახილზე დედამიწის მისამართით: „... მაინც ბრუნავს!“. მაგრამ ოპონენტის მხრიდან იმდენად დიდია ჩემი გამტყუნების სურვილი, რომ თვითონ მასვე მოსდის ლაფსუსი. იგი წერს, რომ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს „ვეებერთელა ასოებით თავისი წერილის სათაურად აუტანია, როგორც თვითონ ამბობს „დიდი იტალიელი მოაზროვნისა და ჰუმანისტის ჯორდანო ბრუნოს უკანასკნელი შეძახილი დედამიწის შესახებ — „მაინც ბრუნავს!“

ბ-ნ ვ. რცხილაძეს სხვა სახის ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებშიც რომ ჩაეხედა, დარწმუნდებოდა,რომ მხოლოდ „ჩემი აზრით“ არ ყოფილა ჯორდანო ბრუნო დიდი მოაზროვნე და ჰუმანისტი. რომ ამ „დეზერტირ ბერს“ (ვ. რცხილაძე) იტალიელებმა 1889 წელს რომში ძეგლი დაუდგეს, ხოლო გასულ წელს კათოლიკური ეკლესიის ცენტრმა მიიღო დიდად ჰუმანური გადაწყვეტილება და გააუქმა 400 წლის წინათ ჯორდანო ბრუნოს მიმართ გამოტანილი სიკვდილით დასჯის უმკაცრესი განაჩენი. ამის თაობაზე იყო საუბარი ჩემს წერილში, მაგრამ ოპონენტმა ამ შემთხვევაშიც დუმილი ამჯობინა.

ოპონენტი აქაც მიმართავს პატარა ეშმაკობას, სახელდობრ, ციტატას ბოლომოკვეცილად იმოწმებს და მკითხველს უმალავს „მაინც ბრუნავს!“ მომდევნო ფრაზას — „ძალადაკარგულად ითვლება?“ ეს კი ის ფრაზაა, რომელიც ფაქტობრივი ლაფსუსის მიუხედავად მაინც მიანიშნებს **აზრის** მნიშვნელობაზე. აქედან ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ გაქრა ეს ფრაზა ვ. რცხილაძის ციტირებაში, ისიც უკვალოდ, ყოველგვარი მრავალი წერტილის გარეშე.

ლაფსუსი ვახსენე: ნუთუ ჟურნალის რედაქტორმა არ იცის, რომ გაზეთში წერილი როგორი შრიფტით უნდა აეწყოს, ამას ავტორს არავინ ეკითხება?

ახლა ცოტა რამ ვ. რცხილაძის გაკვირვებებზე, ქედმაღლობასა და პოლემიკურ ხერხზე.

წერილის დასაწყისშივე ოპონენტი გაკვირვებულია მ. მახარაძემ მსაჯულის ფუნქცია რად დამაკისრაო. მაშ რა ვუწოდოთ მის როლს, როცა ის ინკვიზიციის ლექსიკონიდან აღებული სიტყვებით, მისი შეხედულებისამებრ „უმასპინძლდება“ ამა თუ იმ პიროვნებას. ახლა საკითხის ეთიკურ მხარესაც შევეხოთ. რატომ და რა მიზნით დადგა დღის წესრიგში 16 წლის წინათ გამოსულ ნ. ნათაძის წიგნში გატარებული ერთი აზრის

ავ-კარგიანობის განსჯა — ჰეშმარიტების ერთგულებისა თუ მაცხოვარისადმი პატივისცემის გამო? ნუთუ ისეთი გულუბრყვილო ბრძანდება ბ-ნი ვ. რცხილაძე, რომ აქამდე არაფერი იცოდა ამის შესახებ? ჰოდა, როცა ასეთ შემთხვევაში ჟურნალის რედაქტორობას ამოფარებული მთავრობის წევრი დაკვეთას ასრულებს და ბოლო სიტყვის უფლებით გამოგვაქვს განაჩენი, ეს უფრო მეტია, ვიდრე მსაჯულობა!

გაკვირვებას იწვევს ოპონენტის ქედმაღლური განცხადებები იმის თაობაზე, რომ მ. მახარაძემ ეტყობა ეს ავტორი არ იცის, ამ წიგნს არ იცნობს, მისთვის უცნობია თეოლოგიური და საეკლესიო ენციკლოპედიები და ა.შ. იქნებ ზოგიერთი რამ მართლაც არ ვიცი, ზოგიერთ ავტორს მართლაც არ ვიცნობ. მაგრამ ხომ კარგად მოეხსენება ვ. რცხილაძეს, თუ საიდან მოდის ყველაფერი ეს. ან მორალის რომელ კატეგორიას ექვემდებარება ის, რომ რომელიღაც წიგნი ჩაიგდო ხელში, სხვას მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს და ამის საფუძველზე მას ზემოდან დაუწყო ყურება (აი რას ასდის პროვინციალიზმის სუნი!). მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ღირებული წიგნები, ენციკლოპედიები თუ ცნობარები, სწორად გამოიყენო შენი პოზიციის შესამუშავებლად და განსამტკიცებლად და არა მოწინააღმდეგის დასაშინებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ფალავნების არჩევაშიც შეცდები და სრულიად უადგილოდაც მოუხმობ მათ. სამწუხაროდ, ვ. რცხილაძის პასუხი ამ აზრის უტყუარი დადასტურებაა.

უცნაურია ოპონენტის პოლემიკის ხერხი. როცა მას სჭირდება, სიამოვნებით ამოწმებს დანტეს (XIII—XIV სს.), კირკეგორს (XIX ს.) ... , როცა მე ვიმოწმებ XIX საუკუნის მოაზროვნეებსა თუ მკვლევარებს, მათ აზრებს მოძველებულად აცხადებს, ესენი უღმერთოები არიანო და ა.შ. ამასთან მირჩევს, მათი სია რატომ არ შეავსე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებითო (წარმოგიდგენიათ ერთმანეთის გვერდით ნიცშე და მარქსიზმის კლასიკოსები?).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვ. რცხილაძის პასუხში გატარებული მოსაზრებები მხოლოდ გაუგებრობიდან არ მომდინარეობენ. ესაა ფილოსოფიისა და თეოლოგიის,რელიგიისა და მეცნიერების არსისა და მათი ურთიერთმიმართების ზედაპირული ხედვის შედეგი, რომელიც მოკლებულია [illegible] ლემათა კვლევის სიღრმეს, კომპეტენტურობას და ა.შ.

დასასრულს აღვნიშნავთ,რომ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფიისა [illegible] თეოლოგიის, მეცნიერებისა და რელიგიის მიმართებაზე განსხვავებული აზრები არსებობდა, რომელთაგან ერთი ჰეშმარიტებას აღიარებდა მხოლოდ რელიგიურ მოძღვრებაში. ეს აზრი არსებობს დღესაც, მაგრამ განსხვავებით ჩვენი ოპონენტისაგან, მისი მიმდევრები არც დეპარტამენტის დირექტორის სავარძელში არიან მოკალათებულნი, არც ნახევრად საერო ჟურნალებს რედაქტორობენ და მითუმეტეს არც ათეისტები ჰყავთ კონსულტანტებად.

 პოლემიკა

# არა მხოლოდ გაუგებრობა!

## რუსეთს მართავს «მერზავცების» და დამნაშავეების ბანდა?

**ბროზნოდან** რუსეთის პრეზიდენტთან შესახვედრად მოსკოვში ჩამოსულმა რუსეთის სათათბიროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა სერგეი კოვალიოვმა განაცხადა,რომ ჩეჩნეთში ხელისუფლების პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს,რომ რუსეთს მართავს „მერზავცების“ ბანდა. „მერზავეცის“ ქართული შესატყვისია „ბილწი“ და „საზიზღარი“.

სერგეი კოვალიოვი საკმაო წონის მქონე პოლიტიკოსია რუსეთში. დემოკრატიული წრეები აპირებენ მისი ნობელის პრემიაზე წარდგენას,რაც ამ პოლიტიკოსის საერთაშორისო ავტორიტეტს კიდევ უფრო გაზრდის.

ცნობილმა რუსმა პოლიტიკოსმა გაიდარმა კი რუსეთის მთავრობის და კერძოდ, ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მოქმედებას ჩეჩნეთში დანაშაულის კვალიფიკაცია მისცა და მათი გასამართლება მოითხოვა.

აი ასეთი ავტორიტეტის მქონე რუსი პოლიტიკოსები თავად აღიარებენ, რომ რუსეთს „მერზავცების“ და დამნაშავეების ბანდა მართავს,რომლის ვერაგობაც ბევრჯერ მწარედ იწვნია საქართველომ. საკითხავი მხოლოდ ის არის, რუსეთის ამ ხელისუფლების იმედი როდემდე უნდა ჰქონდეს ჩვენს ხელისუფლებას?

## ადვილად გასაშიფრი სტრატეგია

**საზღვარგარეთის** ექსპერტების აზრით რუსეთს ომი ჩეჩნეთში ყოველდღიურად 30 მილიონი დოლარი უჯდება. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა რუსეთმა საქართველოს უკვე ერთი წელია შეპირებული 20 მილიარდი მანეთი სესხი, რაც დღევანდელი კურსით 6 მილიონ დოლარს არ აღემატება, არათუ მისცეს, არამედ იქით სთხოვოს დახმარება, მითუმეტეს, რუსეთის მთავრობის ვიცეპრემიერ შუმეიკოს განცხადებით, რუსეთს თურმე აფხაზეთში სამშვიდობო ჯარის შენახვაზე უკვე 100 მილიარდი მანეთი დაუხარჯავს. ეტყობა, ჩიტი ბრდღვნად ულირს რუსეთს, თორემ ქარისთვის წასაღები ფული მას დიდი ხანია უკვე არ გააჩნია.

## ომის მომღერალი ნევზოროვი ხელისუფლებამ გამოიძახა

**გაზ. „იზვესტიის“** კორესპონდენტი იგორ კოროლკოვი რუსი შოვინისტის ნევზოროვის ხელისუფლების მიერ ჩეჩნეთში რეპორტაჟების მომზადებისათვის გაგზავნის შესახებ წერს: „ოფიციალური ხელისუფლების მდგომარეობის გაგება შეიძლება. საზოგადოება წინააღმდეგია მხარი დაუჭიროს ომს. დღეს ჩვენ ვხედავთ იშვიათ, ადრე გაუგონარ მოვლენას — პრაქტიკულად ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალება (ხაზს ვუსვამ — ყველა) პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, გმობენ რთული ნაციონალური პრობლემის დაბომბვებით გადაჭრის მცდელობას. იძულებულნი არიან მოძებნონ ის იშვიათი მომხრეები, რომლებიც თვლიან, რომ რუსეთის სახელმწიფოებრიობა განმტკიცდება დაღვრილი სისხლის დახმარებით.ასე გახდა საჭირო ნევზოროვი-რიგელ ომონელებზე აღტაცებული რეპორტაჟების ავტორი, რომლებიც თვითნებობდნენ ლატვიაში, ანგრევდნენ საბაჟო პოსტებს. დღეს მებრძოლი „პატრიოტი“ ხელისუფლების მიერ ნაფერებია“.


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს სსსგ „ინფორმატიკას“ თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან მისთვის სასურველი.

სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია IBM–ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები, პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა.

კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.



**მისამართი:**

იკავკავაძის ჩიხი N37

(კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე)

23-53-17

29-48-61



მთავარი რედაქტორი

**ნოდარ გრიგალაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

**დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა, თამაზ დიასამიძე.**

მორიგე რედაქტორი გია თვალავაძე

**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5**

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 200 000 კუპონი

ტელეფონები:

**რედაქტორი:** 93-20-36,

**რედაქტორის მოადგილე:** 93-18-41

**პასუხისმგებელი მდივანი:** 93-19-99